



თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI TEACHING UNIVERSITY



საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული
კონფერენცია

თანამედროვე გამოწვევები,
მეცნიერების აქტუალური
პრობლემები და ევროინტეგრაცია

International Scientific and Practical
Conference

MODERN CHALLENGES,
CURRENT SCIENTIFIC PROBLEMS
AND EU INTEGRATION

თბილისი - TBILISI
22-23 ნოემბერი, 2017
NOVEMBER 22-23, 2017



თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
TBILISI TEACHING UNIVERSITY



ვარშავის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
Warsaw University of Humanities (Warsaw, Poland)



რუმინეთის ბანატის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტი
Banat's University of Agricultural Sciences and Veterinary Medicine
"King Michael I of Romania" of Timisoara (Timisoara, Romania)



უკრაინის დრაგომანოვის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი
National Pedagogical Dragomanov University (Kiev, Ukraine)

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის

თანამედროვე გამოწვევები, მეცნიერების აქტუალური
პრობლემები და ევროინტეგრაცია

შრომათა კრებული
I

International Scientific and Practical Conference
Modern Challenges, Current Scientific Problems
And EU Integration
Conference Proceedings
I

თბილისი - Tbilisi

22-23 ნოემბერი, 2017
November 22-23, 2017

UDC (უაკ) 378.4(479.22-25)(063)

თ-388

ISSN 2587-4748

უნივერსიტეტის მისამართი : ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის ქ. N55

ვებ-გვერდი www.tu.edu.ge

ელ.ფოსტა: info@tu.edu.ge

ტელ: 2969044

University address: Tbilisi, Eg. Ninoshvili st. N55

Web-page: www.tu.edu.ge

E-mail: info@tu.edu.ge

Tel: 2969044

გამომცემლობა „მწიგნობარი“

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

თავმჯდომარე:

ლევან ჯანგულაშვილი - რექტორი, ასოცირებული პროფესორი , აკადემიური დოქტორი

კონფერენციის საორგანიზაციო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი -

თამარ ჯანგულაშვილი -პრორექტორი, პროფესორი

საორგანიზაციო კომიტეტის წევრები:

რევაზ ჯავახიშვილი - ჟურნალ „მეცნიერება და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი
ლია მენტეშაშვილი -ჟურნალ „მეცნიერება და ცხოვრების“ სარედაქციო-საბჭოს
პასუხისმგებელი მდივანი

თინა ბარისაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
ნათელა სულაქველიძე - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტი:

დავით ჯანგულაშვილი - პროფესორი

სოლომონ პავლიაშვილი- პროგრამების კოორდინატორი,პროფესორი

დავით გუბელაძე - ინჟინერიის მიმართულების ხელმძღვანელი

ვიქტორან დრუჩენკო - უკრაინის დრაგომანოვის სახელობის ეროვნული პედაგოგიური
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ვლადიმერ ლავრინენკო - უკრაინის დრაგომანოვის სახელობის ეროვნული
პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი

პიოტრ როზვადოვსკი - ვარშავის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის დამფუძნებელი,
პროფესორი

ანეტა იგნატოვიჩი - ვარშავის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პრორექტორი,
პროფესორი,დოქტორი

კოზმინ ალინ პოპესკუ - რუმინეთის ბანატის სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

ტიბერიუ იანკუ - რუმინეთის ბანატის სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის
უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი

იოანა ბალანი- რუმინეთის ბანატის სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის
უნივერსიტეტის დეკანი,ასოცირებული პროფესორი

Conference Organizing Committee

Chairman:

Levan Jangulashvili – Rector, Associate Professor, Academic Doctor;

Responsible Person for Organizing a Conference

Tamar Jangulashvili - Deputy Rector in Public&International Relations, Professor;

Members of the Conference Organizing Committee

Revaz Javakhishvili – Editor-in-Chief of the the Journal “Science and Life”

Lia Menteshashvili – Executive Secretary of the Editorial Board of the Journal “Science and Life”

Tina Barisashvili – Deputy Head of Quality Assurance Department

Natela Sulakvelidze – Head of Library

Conference Scientific Committee

David Jangulashvili – Professor

Solomon Pavliashvili – Professor, Coordinator of Programme

David Gubeladze – Professor, Head of Engineering Direction

Viktor Andrushchenko - Doctor of Philosophy, Professor, Rector of the National Pedagogical Dragomanov University (Ukraine).

Volodymyr Lavrynenko - Ph.D, Professor, Vice – Rector for international relations National Pedagogical Dragomanov University (Ukraine).

Piotr Rozwadowski - Professor, Founder of Warsaw University of Humanities. (Poland)

Aneta Ignatowicz – Deputy Rector, Ph.D, Warsaw University of Humanities. (Poland)

Alin Cosmin Popescu - **Professor**, Banat University of Agricultural Sciences and Veterinary Medicine "King Michael I of Romania" from Timisoara (Romania).

Tiberiu Iancu - Professor, Banat University of Agricultural Sciences and Veterinary Medicine "King Michael I of Romania" from Timisoara (Romania).

Ioana Mihaela Balan – Associate Professor, Banat University of Agricultural Sciences and Veterinary Medicine "King Michael I of Romania" from Timisoara (Romania).

Gabriela Popescu – Associate Professor, Banat University of Agricultural Sciences and Veterinary Medicine "King Michael I of Romania" from Timisoara (Romania).

სარჩევი

სექცია - ეკონომიკის მეცნიერებანი

ვახტანგ ბურდული - საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების რიორიტეტების შესახებ.....	8
გაიოზ ნადირაშვილი - ტურიზმი როგორც ეკონომიკის სექტორი	12
ლარისა დოლიკაშვილი - სასტუმროს მომსახურების ხარისხის აუდიტი	16
ვახტანგ სვანაძე-კაპიტალის ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში.....	20
თამარ ჯანგულაშვილი - სოციალური მარკეტინგის არსი, ტექნოლოგია, ტიპები	24
სოფიო ბლიაძე. თამარი ზირაქაშვილი- მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი.....	28
ლია ოტიაშვილი- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების პრინციპები და პრობლემების გადაჭრის გზები	32
ნინო ზურაშვილი- კონკურენციისთვის ხელშემშლელი ფაქტორები საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების სისტემაში.....	34
გივი მაკალათია - შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების ეკონომიკური მნიშვნელობა საქართველოსთვის	38
თამარა ტარტარაშვილი - საქართველოში კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური აზერბაიჯანელების ინფორმირებულობის დონე ევროინტეგრაციის საკითხებში	42
Levan Silagadze- Foreign direct investment inflow in Armenia, Azerbaijan and Georgia (comparable analysis)	47
Tamar Jangulashvili Challenges for Social Entrepreneurship in Georgia.....	50

სექცია - აგრორული მეცნიერებანი

Alin Cosmin POPESCU, Tiberiu IANCU, Gabriela POPESCU, Ioana Mihaela BALAN- ROMANIA IN THE CONTEXT OF THE INTEGRATION IN THE EUROPEAN UNION AFTER A DECADE OF TRANSITION AND CHALLENGE.....	52
Ioana Mihaela BALAN, Alin Cosmin POPESCU, Tiberiu IANCU, Gabriela POPESCU - FOOD SECURITY VS. FOOD SAFETY - CONSUMER ETHICS	60
Murad garuchava- Research of Paths of Metabolism of Vitamin C (ascorbic acid) in Some Fruits and Vegetables to Determine its Antioxidant and Nutrition Value	69

სექცია - ინჟინერია

მალხაზ ბედიასვილი, გელა ყიფიანი- თანამედროვე გამოწვევები სეისმომდეგობაში და მისი აქტუალური პრობლემები	74
დავით გუბელაძე- წყლის რესურსების მართვის სტრატეგია საქართველოში რეზიუმე.....	78

სექცია - იურიდიული მეცნიერებანი

ელენე გვენცაძე-თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის თანაფარდობა	82
ირაკლი თედორაძე-გამოხატვის თავისუფლება და მისი შეზღუდვა - რჩევები საქართველოსთვის	86

სექცია - ჰუმანიტარული და განათლების მეცნიერებანი

Piotr Rozwadowski, Aneta Ignatowicz - The Turbulent environment of the international safety and his influence on the contemporary education education.....	90
Viktor Andrushchenko- Overcoming the social turbulence of the society by means of education.....	100
Volodymyr Lavrynenko- THE PHENOMENON OF STRATEGIC CULTURE AS A TURBULENCE OVERCOMING AGENT IN SOCIETY	102
მაია თევზაძე - ეთნოცენტრიზმი და ინტერკულტურული კომუნიკაცია.	104
ნინო სანაია- თანამედროვე ენების კვლევა ევროპულ ანტიკურ კულტურასთან კავშირში.....	107
დალი სინჯარაძე, ნათია ბებიაშვილი- ორიოდ სიტყვა ილია ჭავჭავაძის „შინაურ მიმოხილვაზე“	110
ირინე არჯევანიძე- ფსიქოლოგიზმი, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვის თავისებური საშუალება.....	115
ლია მენტეშაშვილი, თამარ ჯანგულაშვილი - ოჯახი - აღზრდის სათავე.....	118

Contents

Section - Economic Sciences

Vakhtang Burduli-On the Priorities for the Formation of Georgia’s National Innovation System.....	8
Gaioz Nadirashvili- Tourism as Dynamic Economic Sector.....	12
Larisa Dolikashvili- Quality Audit of Hotel Service	16
Vakhtang Svanadze- Capital market development problems in Georgia	20
Tamar Jangulashvili- Social Marketing: Essence, Concept, Types.....	24
Sopho Bliadze, Tamari Zirakhashvili- The Analyses of Profit and Profitability.....	28
Lia Otiashvili-Principles of Funding High Education Institutions and Ways to Solve the Problems...	32
Nino Zurashvili- The Hindering Factors for Competition in the State Electronic Procurement System of Georgia	34
Givi Makalatia- Economic Significance of Money Transfers of Labor Emigrants for Georgia	38
Tamara Tartarashvili- The level of awareness of compactly settled ethnic Azeris in Georgia in European integration issues.....	42
Levan Silagadze- Foreign direct investment inflow in Armenia, Azerbaijan and Georgia (comparable analysis)	47
Tamar Jangulashvili Challenges for Social Entrepreneurship in Georgia.....	50

Section - Agrarian Sciences

Alin Cosmin POPESCU, Tiberiu IANCU, Gabriela POPESCU, Ioana Mihaela BALAN- ROMANIA IN THE CONTEXT OF THE INTEGRATION IN THE EUROPEAN UNION AFTER A DECADE OF TRANSITION AND CHALLENGE.....	52
Ioana Mihaela BALAN, Alin Cosmin POPESCU, Tiberiu IANCU, Gabriela POPESCU - FOOD SECURITY VS. FOOD SAFETY - CONSUMER ETHICS..	60
Murad Garuchava- Research of Paths of Metabolism of Vitamin C (ascorbic acid) in Some Fruits and Vegetables to Determine its Antioxidant and Nutriti	69

Section-Engineering

Malkhaz Bediashvili, Gela Kipiani- Modern Challenges in Seismic Resistance and Its Actual Problems.....	74
David Gubeladze- Water Resource Management Strategy in Georgia.....	78

Section - Legal Sciences

Elene Gventsadze- Correlation of Co-Execution and Co-Participation.....	82
Tedoradze Irakli- Freedom of Expression its Limitation Suggestions in Relation with Georgia	86

Section – Humanitarian and Education Sciences

Piotr Rozwadowski, Aneta Ignatowicz- The Turbulent environment of the international safety and his influence on the contemporary education	90
Viktor Andrushchenko- Overcoming the social turbulence of the society by means of education.....	100
Volodymyr Lavrynenko- THE PHENOMENON OF STRATEGIC CULTURE AS A TURBULENCE OVERCOMING AGENT IN SOCIETY	102
Maya Tevzadze- Ethnocentrism and Intercultural Communication.....	104
Nino Sanaia -Study of Modern Languages Related European Antique Culture	107
Dali Sinjaradze, Natia Bebiashvili - Few words about „Home Review“ by Ilia Chavchavadze Executive	110
Irine Arjevanidze- Psychologism as Peculiar Way for Reflecting the Inner World of a Human.....	115
Lia Menteshashvili, Tamar Jangulashvili - Family - Origin of Upbringing.....	118

საქსია - ეკონომიკური მეცნიერებანი Section - Economic Sciences

ვახტანგ ბურდული
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების პრიორიტეტების შესახებ

იმისათვის, რომ დავსახოთ საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების პრიორიტეტული მიმართულებები, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი შემადგენელი ბლოკების მკვეთრი სტრუქტურირების ჩატარება. რიგ სამუშაოზე დაყრდნობით, სადაც ევროკავშირისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ეის-ის კვლევის საფუძველზე განხორციელებულია ბლოკების სისტემატიზაცია (2; 4), ასევე საკუთარ ნაშრომებზე დაყრდნობით (1), შეიძლება ბლოკების შემდეგი სისტემის შემოთავაზება:

1. ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის უზრუნველყოფის ბლოკი: ა) ინოვაციური პოლიტიკის განმსაზღვრელი სამთავრობო ორგანიზაციები, სამინისტროები, უწყებები, სააგენტოები, ფონდები და სხვა მარეგულირებელი და დამაფინანსებელი ორგანიზაციები; ბ) ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგიები და პრიორიტეტები; გ) ინოვაციური საქმიანობის სფეროში ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, იმ დებულებების ჩათვლით, რომლებიც ურთიერთობების რეგლამენტაციას ახდენს მეცნიერებას, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის.

2. ინოვაციების წარმოების ბლოკი: ა) ბიზნესსექტორი (კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ინოვაციურ პროდუქტს – ინოვაციების შემუშავებული ქვედანაყოფები მსხვილ კორპორაციებში, მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც ქმნიან ინოვაციურ პროდუქტს); ბ) ინოვაციური პროდუქტის შემუშავებული საწარმოები, რომელთა შექმნა მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებული იყო სახელმწიფოს მიერ (მაგალითად, სახელმწიფო ვენჩურის პრინციპის მიხედვით).

3. მეცნიერულ-კვლევითი სექტორი (უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები).

4. ტექნოლოგიების ტრანსფერის (გადაცემის) ორგანიზაციები და ინოვაციური ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოლოგიების ტრანსფერისა და კომერციონალიზაციის ცენტრები და ა. შ.).

5. საერთაშორისო ინოვაციურ გარემოსთან ურთიერთქმედების სისტემა, ესე იგი ურთიერთკავშირები უცხოელ პარტნიორებთან ინოვაციური საქმიანობის სფეროში, როგორც ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების მიწოდებისა (ტრანსფერის), ასევე, ერთობლივი ინოვაციური შემუშავებების ჩატარების სფეროში.

6. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ბლოკი: ა) ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო (ცენტრალური და რეგიონული) დაფინანსება; ბ) ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება ბიზნესსექტორის მიერ; გ) ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების სფეროში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა.

7. კადრების მომზადების ბლოკი.

8. დონორების მიერ განხორციელებული პროექტების მხარდაჭერის ბლოკი.

9. სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის ბლოკი.

ახლა ზოგიერთი ჩამოთვლილი ბლოკის ქრილში განვიხილოთ ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების პრიორიტეტული მიმართულებები.

ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგიაში უნდა განისაზღვროს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები და დაისახოს ის ძირითადი დარგები ინოვაციების სამრეწველო დანერგვის პერსპექტივით, რომლებზეც უნდა გამოიყოს ძირითადი სახელმწიფო რესურსები. ამასთან, უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს იმ ტრადიციული დარგების ინოვაციურ განვითარებას, რომელთა საწარმოების უმეტესობაში მუშაობა 90-ანი წლების დასაწყისში შეწყდა მოძველებული ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და ცოდნის დეფიციტის გამო. ამის გარდა, სტრატეგიაში უნდა დაისახოს ეროვნული და რეგიონული ინოვაციური სისტემების ფორმირებისა და განვითარების საპირველრიგო ამოცანები და სახელმწიფო სექტორში შეიძინეს ეროვნული ინოვაციების შემუშავების პრიორიტეტული მიმართულებები. სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს ინოვაციური განვითარების სპეციალური პროგრამების შემუშავება, რაც შემოღებულია მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში.

ყველა განვითარებულ ქვეყანაში **ინოვაციების** უმეტესი ნაწილი **იწარმოება** ბიზნესსექტორში. საქართველოში ამჟამად ინოვაციების წარმოება ბიზნესსექტორში უმნიშვნელო დონეზეა. სამრეწველო სექტორში მსხვილი კორპორაციების რაოდენობა მცირეა, მართალია, მათი ოდენობა ბევრია სავაჭრო სექტორში, მაგრამ ამ სექტორში არ არსებობს ბევრი ახალი ტექნოლოგიის წარმოების აუცილებლობა. ამიტომ, იმისათვის, რომ მსხვილ კორპორაციებში შესაძლებელი გახდეს დიდი რაოდენობის ინოვაციური ქვედანაყოფების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საქართველოს ეკონომიკის ჰიპერტროფიული დარგობრივი სტრუქტურის გარდაქმნა იმ მიმართულებით, რომ უფრო მეტი მსხვილი საწარმო გაჩნდეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აქტუალურ დარგებში. ამჟამად უფრო აქტუალურია მცირე კერძო ინოვაციური საწარმოებისა (რომლებმაც, უპირატესად, უნდა გამოიკვლიონ ახალი უცხოური ტექნოლოგიები საწარმოებში მათი მომდევნო გადაცემისათვის) და ტექნოლოგიების ტრანსფერის ქსელის შექმნა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საჭირო იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების დაჩქარებული განვითარება. პრიორიტეტულია ასევე სახელმწიფო (ან სახელმწიფო-კერძო პარტნიორობაზე დაფუძნებული) მცირე ინოვაციური საწარმოების შექმნა სახელმწიფოს ინოვაციური სტრატეგიის იმპერატივების მხედველობაში მიღებით (თუმცა უკანასკნელი ჯერ შემუშავებული არ არის).

სამეცნიერო-კვლევითი სექტორი. უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს იმ სამეცნიერო შემუშავებებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება ინოვაციურ გამოკვლევებზე. განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში (ეის-ის ევროატლანტიკური მოდელით, რომელიც ამჟამად ტრანსფორმირდება “სამმაგი სპირალის მოდელის“ პრინციპის მიხედვით აწყობილ ეის-ში) კვლევების და შემუშავებების გამტარებელ ეის-ის ფაქტობრივ ბირთვად გამოდიან უნივერსიტეტები და ზოგიერთი სხვა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები. ისეთ მცირე ქვეყანაში, როგორცაა დანია, უნივერსიტეტების გარდა ეის-ის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამის გარდა არსებობს GTS-ინსტიტუტები (“მომსახურების დამტკიცებული ტექნოლოგიური მიმწოდებელი”), რომლებიც დამაკავშირებელ ელემენტებად გამოდიან სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურებს შორის. დანიაში ასევე შექმნილია მძლავრი ინოვაციური ინფრასტრუქტურა. მიუხედავად ამისა, ინოვაციური აქტიურობის უმეტესი ნაწილი შემოიფარგლება უმნიშვნელო ინოვაციებით, რომლებიც მიმართულია ადგილებზე საწარმოო პროცესის გაუმჯობესებაზე (5).

ამ გამოცდილებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მცირე ქვეყანაში შეუძლებელია ინოვაციური განვითარება უცხოეთიდან ახალი ტექნოლოგიების მსხვილმასშტაბიანი სესხების (იმპორტის) გარეშე. მითუმეტეს ასეთი სესხება საჭიროა საქართველოში, სადაც აუცილებელია ეკონომიკის ჰიპერტროფიული სტრუქტურის გამოსწორება. ამიტომ ქვეყანაში ინოვაციების წინაწევის ყოველ სტადიაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინოვაციების (ე.ი. ახალი ტექნოლოგიების) სესხების (იმპორტის) პრობლემას. კერძოდ, სამეცნიერო-კვლევით სტადიაზე შესაბამის დაწესებულებებში (იქნება ეს უნივერსიტეტი თუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) საჭიროა ისეთი სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფის შექმნა, რომელიც განახორციელებს საჭირო უცხოური ინოვაციური ტექნოლოგიების კვლევას და შეიმუშავებს წარმოებაში მათი წინ წაწევის რეკომენდაციებს.

ინოვაციური საქმიანობის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაფინანსება საქართველოში ძალიან დაბალ დონეზეა. ამიტომ, იმისათვის, რომ ქვეყანაში ეის-ის სრულფასოვანი ფორმირება და ამოქმედება მოხდეს, საჭიროა ამ სფეროში როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დანახარჯების მკვეთრი გაზრდა.

ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსება დამოკიდებულია სახელმწიფო საქმიანობის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესაძლებლობებზე. მისი შევსების დაბალი საგადასახადო ბაზის გამო, ასეთი დაფინანსება, როგორც აღინიშნა, ძალიან მცირეა. ამიტომ, სახელმწიფო დაფინანსების მისაღები ზომების უზრუნველსაყოფად საჭიროა საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება ზოგიერთი გადასახადის განაკვეთების გაზრდის ხარჯზე. კერძო კაპიტალი კი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ორგანიზებული იმისათვის, რომ გამოყოს საფინანსო სახსრების საკმარისი ოდენობა ეის-ის განვითარებისა და ინოვაციური საქმიანობისათვის. კერძო სექტორში თავისუფალი საფინანსო სახსრების უმეტესი ნაწილი თავმოყრილია სავაჭრო კაპიტალის სფეროში, რომელიც არაკომპეტენტურობისა და დიდი რისკის გამო, არ მიისწრაფვის მათი განთავსებისაკენ სამრეწველო სექტორის ინოვაციურ სფეროში. მათსადაც, საჭიროა ბიზნესის თვითორგანიზაციის სისტემის გარდაქმნა.

კერძოდ, აშშ-ისა და სამხრეთ კორეის წინამავალი გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროა ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების (**ფსჯ**) შექმნა, მის შემადგენლობაში სამრეწველო კომპანიებთან ერთად სავაჭრო კომპანიების ჩართვით (3; 6), ბანკს კი **ფსჯ**-ის შემადგენლობაში უნდა ჰქონდეს საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ აირჩიოს სამრეწველო სექტორში ინოვაციური ფირმების შექმნის დაფინანსების მიზანშეწონილი მიმართულებები არა მარტო დაკრედიტების, არამედ ვენჩურული კაპიტალის დახმარებით, რომლებსაც აწარმოებს როგორც უშუალოდ ბანკი, ასევე სხვა **ფსჯ**-ში შემავალი კომპანიები. ამ პროცესში შესაძლებელია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მექანიზმის გამოყენებაც. ვენჩურული ინოვაციური კომპანიების შექმნა საჭიროა ასევე ერთობლივად უცხოელ პარტნიორებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Абесадзе Р. Инновации, инновационные сети и общие направления формирования инновационной экономики в Грузии. – В кн.: PRZEDSIĘBIORSTWOWSTRUKTURACHSIECI. Lublin, Wydawnictwo KUL, 2016.
2. Зверев А.В. Формирование национальной инновационной системы: мировой опыт и российские перспективы. Автореферат диссертации д.э.н. М., 2009. – Электронный ресурс: <http://dissers.ru/avtoreferati-dissertatsii-ekonomika/a840.php>.
3. Корейское чудо – уроки для России. 20.03.2008. – Электронный ресурс: <http://www.contrtv.ru/common/2641/>

4. Модели формирования национальных инновационных систем. 13.09.2013. –
Электронный ресурс:
http://kapitalrus.ru/articles/article/modeli_formirovaniya_nacionalnyh_innovacionnyh_sistem/#
5. Справка о международном опыте инновационного развития. Министерство экономического развития Российской Федерации. Департамент координации, развития и регулирования внешнеэкономической деятельности. – Электронный ресурс:
http://economy.gov.ru/minec/about/structure/depsvod/doc20110407_02
6. Цветков В. А. Финансово-промышленные группы в современном мире. Опубликовано в журнале «Промышленная политика Российской Федерации». 6. 2000. Электронный ресурс: <http://www.ipr-ras.ru/articles/tsvet-00.htm>

ვახტანგ ბურდული
საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირების
პრიორიტეტების შესახებ
რეზიუმე

სტატიაში მოცემულია საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურირება. შემდეგ, ეროვნული ინოვაციური სისტემის ზოგიერთი საკვანძო ბლოკის ჭრილში (სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის უზრუნველყოფის ბლოკი, ინოვაციების წარმოების ბლოკი, სამეცნიერო-კვლევითი სექტორი, ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ბლოკი), დასახული და დასაბუთებულია მისი ფორმირების პრიორიტეტული მიმართულებები.

Vakhtang Burduli
On the Priorities for the Formation of Georgia's National Innovation System
Summary

Structuring of blocks of the national innovation system of Georgia is carried out in the article. Then, in the context of some key blocks of the national innovation system (the block for ensuring the state innovation policy, block of the production of innovation, the research sector, block of financing innovative activity), priority directions for its formation have been identified and justified.

გაიოზ ნადირაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი (თბილისი, საქართველო)

ტურიზმი როგორც ეკონომიკის სექტორი

თანამედროვე პერიოდში ტურიზმი განიხილება როგორც სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სწრაფად განვითარებად მძლავრ ინდუსტრიად ჩამოყალიბდა. ახლა, ადამიანთა დასაქმებაში, ყოველი მე-10 სამუშაო ადგილი მსოფლიოში ტურისტულ ბიზნესშია შექმნილი. ტურიზმის სფერომ მთლიანი შემოსავლებით გაუსწრო ყველა სხვა დარგს ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და გადამუშავების გარდა, რომელთანაც იგი კონკურენციაშია ჩაბმული. მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის (მტო) პროგნოზით 2020 წელს მსოფლიოში საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 1,6 მლრდ იქნება და 2000 წლის მაჩვენებელს 3-ჯერ გადააჭარბებს. ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 5 ტრლნ აშშ-ს დოლარი იქნება, ხოლო ტურიზმის სფეროს წილი მსოფლიოში წარმოებულ ერთობლივ შიდა პროდუქტში 10% გახდება. საავიაციო გადაზიდვებთან ერთად, ტურისტების ყოველდღიური დანახარჯი 5 მლრდ ამერიკულ დოლარს მიაღწევს. საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში ახლა ორი მთავარი მიმართულებაა გამოხატული: ერთი მიმართულებით მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, ხოლო მეორე მხრივ არახელსაყრელ პირობებშიც კი იგი სწრაფად აღიდგენს თავის შემცირებულ მოცულობას. მსოფლიოს ფინანსური ბაზრების სტაბილურობამ ტურისტების საშვებულებო ქცევაში ისეთი ცვლილებები გამოიწვია, როგორცაა დაგვიანებული დაჯავშნის რაოდენობის ზრდა და დასვენების პერიოდში ხარჯების შემცირება. ამის მიუხედავად, შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა, რომ ტურიზმი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ეკონომიკისა და კულტურის მყარად ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი სექტორი გახდა.

განხილული მასალა უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ფართო გაგებით ტურიზმი წარმოგვიდგება, როგორც ტურისტული კომპლექსი, ტურისტული მოძრაობა, ტურისტული საქმიანობა და ტურისტული ბაზარი. ტურიზმი მსოფლიოს წინაშე წარმოჩინდა თავისი ამოუწურავი პოტენციალით, მან განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე თავისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული კანონები სახელმწიფოთა ეროვნულ საზღვრებსა და მსოფლიოს ტურისტული კავშირების სისტემაში. საერთაშორისო ტურისტული გაცვლების რაოდენობრივ მაჩვენებელთა ევოლუციამ XX საუკუნეში მსოფლიო ტურისტული საზოგადოებრიობის (ფუნქციონირების, მენეჯერების, ხელმძღვანელების, პერსონალის) წინაშე დასვა ხარისხობრივად განსხვავებული პრობლემები ტურისტულ ბიზნესში, ქვეყნების ურთიერთობებში, რომლებიც XXI საუკუნის ახალი გამოწვევაა რესურსების, ინფორმაციისა და მომსახურების მიმართულებით.

ეკონომიკა ტურიზმთან არსებითადაა დაკავშირებული და განსაზღვრული რესურსების გამოყენებით მნიშვნელოვან სიკეთეს ქმნის, რომლითაც ადამიანების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

თანამედროვე პირობებში ტურისტულ ბიზნესში ეკონომიკური ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ამიტომ ტურისტული ბიზნესის ეფექტიანი მართვისათვის ტურიზმის სფეროში დასაქმებული მენეჯერები კარგად უნდა ერკვეოდნენ ტურიზმის ეკონომიკის საკითხებში.

მსოფლიოს ცნობილი სპეციალისტები – ფ. კოტლერი, დჟ. ბოუენი, დჟ. მეიკენზი, ვ. კვარტალნოვი, ი. ზორინი და სხვები ტურიზმს განიხილავენ თანამედროვე მსოფლიოში

ეკონომიკური პროცესებისა და საქმიანობის მნიშვნელოვან, მრავალწახნაგოვან მოვლენად. მათი შეხედულებით ტურიზმზე, როგორც თანამედროვე მსოფლიოს რთულ ეკონომიკურ მოვლენაზე, სულ მცირე ოთხი შეხედულება მაინც არსებობს, რომელთა შორის განსხვავების დადგენა თითქმის შეუძლებელია.

- ტურიზმი როგორც ეკონომიკის სფერო (სექტორი), რომელიც სხვა სფეროებისაგან განსხვავებით უფრო გავრცელებული მტკიცებულებაა ზოგადად და განსაკუთრებით ეკონომისტებს შორის;

- ამ შეხედულების მოწინააღმდეგეთა მცირე ნაწილს შორის არსებობს აზრი, რომ ტურიზმი დარგთაშორისი კომპლექსია ან ბაზარი, სადაც გაბატონებულია ტურ-ოპერატორი, რომელიც სხვადასხვა მომწოდებელთა მიერ მოწოდებული პროდუქტებიდან ქმნის ახალ ტურისტულ პროდუქტს;

- სპეციალისტთა მესამე ნაწილი (ძირითადად ადმინისტრატორები) ტურიზმს განიხილავს, როგორც ეკონომიკური საქმიანობის დამოუკიდებელ სახეს, კერძოდ მომსახურების საქმიანობად;

- ტურისტებს კი მიაჩნიათ, რომ ტურიზმი მხოლოდ მათი საქმიანობაა დასვენების პერიოდში და სხვა მეტი არაფერი.

ტურიზმი როგორც ეკონომიკის სფერო. გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციაში ეკონომიკის დარგი შემდეგნაირადაა განსაზღვრული: ყველა საწარმოო ერთეულის ერთობლიობაა, რომელიც უპირატესად ერთნაირ და მსგავს საწარმოო საქმიანობას აწარმოებს. დარგის დამახასიათებელია უპირატესად ერთგვაროვანი საწარმოო ერთეულების ერთობლიობა, რომელიც საკლასიფიკაციო სტრუქტურაში წარმოდგენილია დარგობრივად მართვის ობიექტებად, ხოლო მართვის სუბიექტებს წარმოადგენენ დარგობრივი სამინისტროები, რომლებიც მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაშია, თუმცა ყველა მათგანს არ გააჩნია ტურიზმის სამინისტრო. ასეთივე მდგომარეობაა საქართველოშიც.

დარგობრივი იერარქიის უმაღლეს დონეზე ტურიზმი საქართველოში სახალხო მეურნეობის განსაკუთრებულ ცალკე დარგად არაა გამოყოფილი. ეს მიანიშნებს იმას, რომ ტურიზმი იერარქიულ დარგობრივ კლასიფიკაციაში არ განიხილება, როგორც დამოუკიდებელი დარგი (სექტორი), ამიტომ იგი არის ქვეყნის ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო (სექტორი).

სპეციალისტების უმრავლესობა საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკურ ბუნებას ამ სექტორის კომპლექსური ხასიათით ხსნიან და მას ეკონომიკურ კატეგორიად განიხილავენ. ასეთი შეფასება მსოფლიო მეურნეობაში ტურიზმის უმსხვილეს დარგობრივ კომპლექსად ჩამოყალიბებასთან და განვითარებასთანაა დაკავშირებული. მსოფლიო მეურნეობის ტენდენციების მნიშვნელოვანი თავისებურებაა ახალი დარგობრივი კომპლექსების ჩამოყალიბება საზოგადოებრივი განვითარების ცალკეულ ეტაპებზე.

ტურიზმი, როგორც ეკონომიკური საქმიანობა. სპეციალურ ლიტერატურასა და ოფიციალურ წრეებში ტურიზმის შესახებ სადაო ტერმინებია „ტურისტის“ და „ტურისტული“. ამ საკითხზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ზემოთ ნახსენებ მეცნიერებს. მათი შეხედულებით ტერმინი „ტურისტის საქმიანობა~კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული შემდეგი დეფინიციით: ტურისტის საქმიანობა ტურ-ოპერატორისა და ტურ-აგენტის საქმიანობაა და აგრეთვე სხვა საქმიანობა დაკავშირებული მოგზაურობის ორგანიზაციასთან.

მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობით ზუსტადაა განსაზღვრული ტურ-ოპერატორული საქმიანობაც, კერძოდ იგი არის ისეთი საქმიანობა, რომელიც ტურისტული პროდუქტის ფორმირებას, წინ წაწევასა და რეალიზაციას ემსახურება იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის სახით ლიცენზიის საფუძველზე. კანონმდებლობით განსაზღვრულია ტურსააგენტოს საქმიანობაც, რომელიც ტურისტული პროდუქტის წინწაწევასთან და რეალიზაციასთანაა დაკავშირებული, რომელსაც

ლიცენზიის საფუძველზე იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე ახორციელებენ. ამ განსაზღვრათა საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა:

- ტურისტის საქმიანობა – სამეწარმეო საქმიანობაა;
- მოგზაურობის ორგანიზაცია – ტურაგენტისა და ტუროპერატორის საქმიანობის პროდუქტი არაა, რადგან მათი საქმიანობის შედეგია ტურისტული პროდუქტის შექმნა და რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, მოგზაურობის ორგანიზაცია განხვავებული საქმიანობაა და არა ტურაგენტის ან ტუროპერატორის საქმიანობა.

ტურიზმის სხვადასხვა სახეები, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სფეროები, ტურისტული პროდუქციის კლასები და ტურისტული მომსახურება, საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკატორებში ფართოდაა წარმოდგენილი, რაც იმას გულისხმობს, რომ ტურიზმის, როგორც საქმიანობის განხილვა დღეს ემყარება ავტორიტეტულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა გამოყენება სავალდებულოა ტურიზმის მართვის განხორციელებაში. მიზანშეწონილია ტურიზმის ჩართვა მოხდეს ფიზიკური კულტურისა და სანატორიულ – საკურორტო ერთიან დარგობრივ კომპლექსებში და იგი განვიხილოთ როგორც ეკონომიკური საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში ტურისტული საწარმოები ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაფართოებას, ხოლო ტურიზმის ზოგიერთი სახეები (შიდა, გამყვანი, სოციალური, საბავშვო-ახალგაზრდული, სამთო, აგრარული, ეკოლოგიური და სხვ.) სახელმწიფოსაგან პრიორიტეტულ მხარდაჭერას საჭიროებენ.

ტურიზმი როგორც ბაზარი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილმა რესპუბლიკებმა, მათ შორის საქართველომაც მოიპოვა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა. იმის მაგიერ, რომ თანდათანობით მომხდარიყო ეკონომიკური დარგების, მათ შორის ტურიზმის განვითარება, არჩეული იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არასწორი, დაჩქარებული გარდაქმნის ვარიანტი, ე.წ. „შოკური“ მეთოდი. საბჭოთა პერიოდში ვერ მოხერხდა ტურიზმის განვითარება, განსაკუთრებით სუსტი იყო ინფრასტრუქტურული კომპლექსი – ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, გართობის, განვითარებისა და კვების, მომსახურების, ტუროპერეიტინგის, საექსკურსიო-შემეცნებითი საშუალებები. არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკას, შედეგად მოჰყვა ათასობით სოციალური ტურიზმის ობიექტების განადგურება ან შეჩერდა მათი ფუნქციონირება. ამჟამად მუშავდება და რეალიზდება ტურიზმის განვითარების ახალი სოციალური პროექტები, ფართოვდება და დაჩქარებულად ვითარდება სოციალური, ინდუსტრიული ბაზა საქართველოში, გაიზარდა ტურისტული ნაკადების რიცხვი ნაციონალური და საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებებით. მარტო იმის აღნიშვნაა საკმარისი, რომ ტურისტთა საერთო რაოდენობა საქართველოში უკვე აჭარბებს 6 მლნ მოგზაურს. საქართველო მოხვდა იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც შემოსული ტურისტების რაოდენობამ გადააჭარბა ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას. შემოსავალი 2 მლრდ დოლარს აღემატება. შეიქმნა საერთაშორისო დონის ტურისტული ცენტრები (თბილისი, ბათუმი, სვანეთი, სიდნაი, ყვარელი და სხვ.). საქართველოში მაღალი ტემპებით იზრდება ტურისტული ბაზარი ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებით. ტურიზმის განვითარების მაღალი ტემპები ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უწყობს ხელს, იზრდება მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე, ადგილობრივი პროდუქტების დაჩქარებულ წარმოებაზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი წარმოების პროდუქტების ექსპორტი და ა.შ.

ტურიზმი, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა მსოფლიოში მეწარმეობის და არა საბიუჯეტო გადანაწილების ზონას წარმოადგენს, ამიტომ სახელმწიფოსაგან იგი გამოყოფილია. სახელმწიფო განსაზღვრავს მხოლოდ ტურიზმის პოლიტიკას და ხელს უწყობს მის განვითარებას, რისთვისაც შესაბამის კანონებს გამოსცემს და მაკრო-ეკონომიკურ მექანიზმებს არეგულირებს, ასევე განსაზღვრავს ნორმატივებს ნაციონალური და გამყვანი ტურიზმის სასარგებლოდ. მაშასადამე ტურიზმის საწარმოები სახელმწიფოს

მიერ რეგულირებადი ბაზრის პირობებში საქმიანობენ. ისმის საკითხი მომხმარებლების შესახებ, თუ ისინი რას საქმიანობენ და მოქმედებენ. მომხმარებლები ანტიონომიის პრინციპებიდან გამომდინარე სხვადასხვა ასოციაციებსა და საზოგადოებებში ერთიანდებიან (პროფესიული კავშირები, სპორტული ტურიზმის საერთაშორისო კავშირები, სხვადასხვა კლუბები, ტურისტული საწარმოები, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები, მხარეთმცოდნეობის ცენტრები და სხვ.). ასეთი ასოციაციური გაერთიანებები აყალიბებენ მოთხოვნილებებს სოციალური ტურისტული პროდუქტისადმი, ჩართულნი არიან დიალოგში სახელმწიფო ორგანოებისადმი საკანონმდებლო და საკუთარი მოძრაობის მხარდაჭერის საკითხებზე. ტურიზმი, როგორც სხვაგან, საქართველოშიც ყოველთვის საზოგადოებრივ მოძრაობას წარმოადგენდა და მომხმარებელთა ინტერესების მხარდასაჭერად გამოდიოდა. ყველა პერიოდში ტურიზმი ძირითადად პროფკავშირებში ვითარდებოდა, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა. დღესაც, სოციალური ტურიზმი ვითარდება, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის მიზანია მოსახლეობის ყველა ფენისათვის ნაციონალური და კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ტურიზმის ანტიონომია. თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმის, როგორც ეკონომიკური მოვლენის განხილვა საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასკვნა მისი ანტიონომიურობის შესახებ, რაც გამოიხატება მის შინაგან სირთულესა და არაერთგვაროვნებაში. ანტიონომია, როგორც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ ერთნაირად დასაბუთებული მსჯელობა თავის გამოხატულებას ჰპოვებს შეხედულებაზე ტურიზმის შესახებ, როგორც ეკონომიკურ კატეგორიაზე. კერძოდ, შეუძლებელია უპირატესობა მივანიჭოთ ტურიზმზე არსებული სხვადასხვა შეხედულებიდან რომელიმე ერთს, რამდენადაც იგი დიდ შეცდომას გამოიწვევს კანონმდებლობაში, მართვაში, მენეჯმენტსა და პრაქტიკაში. ტურიზმი პროცესია, რომელიც ერთგულია ტრადიციების, ჩვეულების, ნორმების, წარმოდგენების, თუმცა უწყვეტად არღვევს ნორმებს, ტრადიციებს ინარჩუნებს თავის სასიცოცხლო ენერჯიას მასში სისტემატურად წარმოშობილი სიახლეების ძალით.

ტურიზმის ანტიონომია – დაბრკოლებაა მისი ცალმხრივი, ვიწროსაგნობრივი და არაწინააღმდეგობრივი განსაზღვრის. ტურიზმის ანტიონომიურობა მისი სირთულის, მრავალასპექტიანობის, მთლიანობის, ურთიერთწინააღმდეგობრივი ტენდენციების გამომხატველია მის განვითარებაში, ტურისტული კონცეფციის დინამიკაში.

ამიტომ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, რომ სწორია იმ მეცნიერთა შეხედულება, რომლებიც ტურიზმს ეკონომიკურ კატეგორიად განიხილავენ ამ სექტორის კომპლექსურობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ., ტურიზმის საფუძვლები, სახელმძღვანელო. თბ., 2014.
2. Балабанов И. Балабанов А. Экономика туризма. Уч. Пособие, М., 1999.
3. Квартальнов В. Туризм как вид деятельности, М., 2001.
4. Квартальнов В. Туризм. Учебник, М., 2002.
5. Котлер Ф., Боуэн Дж., Мейкенз Дж. Маркетинг: Гостеприимство и туризм, М., 2013.
6. Квартальнов В. Туризм. Теория и практика. Избр. труды. М., 2003.

**გაიოზ ნადირაშვილი
ტურიზმი როგორც ეკონომიკის სექტორი
რეზიუმე**

თანამედროვე პერიოდში, სპეციალისტები ტურიზმს განიხილავენ როგორც რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, ხოლო ტურიზმის ეკონომიკა მეცნიერებაა, რომელიც საქმიანობის ამ სფეროში ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემებს შეისწავლის. ბევრი სპეციალისტი ტურიზმს ეკონომიკურ კატეგორიად განიხილავს, რაც ამ სფეროს კომპლექსურ ხასიათთანაა დაკავშირებული.

საერთაშორისო ტურიზმზე, როგორც თანამედროვე მსოფლიოს რთულ ეკონომიკურ მოვლენაზე, სპეციალისტთა ოთხი შეხედულება მაინც არსებობს (ტურიზმი, როგორც ეკონომიკის სფერო, ეკონომიკური საქმიანობა, ბაზარი და საზოგადოებრივი მოძრაობა), რომელთა შორის მსგავსება უფრო მეტია განსხვავებასთან შედარებით.

**Gaioz Nadirashvili
Tourism as Dynamic Economic Sector
Summary**

Modern tourism is highly complicated phenomena. Tourism economy is science identifying the problems of economic relationship in the tourism field. Many scientists consider tourism as an economic category expressing the diverse nature of the tourism.

There are three approaches about the complexity of international tourism in the modern world : tourism as a field of economy, tourism as economic activity in the market and tourism as public movement. It should be noted that the *similarities* between them is more than the differences.

**ლარისა დოლიკაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი (თბილისი, საქართველო)**

სასტუმროს მომსახურების ხარისხის აუდიტი

სასტუმროს შეფასება პირველ რიგში ეფუძნება სასტუმროს მომსახურების ხარისხის შესახებ სტუმრების აზრს, რომლებიც სასტუმროს სტატუსს, მის ავტორიტეტსა და ფინანსურ მდგომარეობას განსაზღვრავს. სტუმრის კმაყოფილების ხარისხის შესახებ ინფორმაციის მიღება პირველი პირიდან ეხმარება უწყვეტად განხორციელდეს კონტროლი ერთდროულად შეთავაზებული სერვისის ყველა კატეგორიის მიხედვით. ამასთან, სასტუმროს მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა არა ყოველი მუშაკის ტოტალური კონტროლის განხორციელება, არამედ ისეთი პირობების შექმნა, რომელთა მეშვეობითაც მინიმუმამდეა დაყვანილი მომსახურებაში შეცდომები. სერვისის ხარისხი, ესაა პირველ რიგში პერსონალის კომპეტენტურობის მაჩვენებელი. დღეისათვის, საქართველოს სასტუმროების უმეტესობას ხარისხის პრობლემა აქვს. სასტუმროების მენეჯერების ნაწილმა არ იცის, როგორ გამოასწოროს შედეგი და სტუმრებს შესთავაზოს მაღალი დონის მომსახურება.

სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურები ვალდებულია აიძულოს მეწარმე, რომ მომხმარებელს მიაწოდოს ის მომსახურება რა ფასსაც ახდევინებს. ამისათვის საჭიროა

ევროკავშირის სტანდარტი დაინერგოს. უცხოეთის მაგალითს თუ მოვიშველიებთ სასტუმროების შეფასება ხდება:

- კერძო ორგანიზაციების მიერ. მაგალითად Forbes Travel Guide, American Automobile Association;
- ქვეყანაში ან რეგიონში მოქმედი სამართლებრივ ნორმებით;
- სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტით.

როცა ქვეყანაში აქ ჩამოთვლილთაგან არც ერთი არ არსებობს, იწყება თვითშეფასება, როცა სასტუმროს მფლობელი საკუთარი შეხედულებების მიხედვით წყვეტს საინფორმაციო დაფაზე დატანილი ვარსკვლავების რაოდენობას და მისთვის მისაღები „სტანდარტის“ შემუშავებას. რასაც ცხადია ზურგს არ უმაგრებს არც შემფასებელი ორგანიზაციის რეპუტაცია და არც კანონმდებლობით დაცული სავალდებულო სტანდარტი. შედეგად კი მიიღება ის, რაც ამ სფეროში გვაქვს, თვითდინებაზე მიშვებული საქმიანობა. სტუმარმა არ იცის სად იჩივლოს, ვის უჩივლოს, როცა კერძო საკუთრებაა და სახელმწიფო ამ მიმართულებით არანაირ ბერკეტს არ ფლობს, ამიტომ გვაქვს ასეთი დიდი სხვაობა მომსახურების ხარისხსა და ფასს შორის. რეგულაციების არარსებობის მიუხედავად, სურვილის შემთხვევაში, სასტუმროებს შეუძლიათ მიუკერძოებელი რეპუტაციის მქონე გზამკვლევის ან ცნობილი ორგანიზაციის შეფასებითაც ისარგებლონ. როგორებიცაა Lonely Planet-ი და Brandt-ი. სამ წელიწადში ერთხელ ანახლებენ ინფორმაციას ქვეყნების შესახებ. გზამკვლევი მოხვედრა ნებისმიერ მოქმედ განთავსების საშუალებას შეუძლია. ამ კომპანიის წარმომადგენლები თვითონ აფასებენ სერვისის დონეს, რასაც გზამკვლევის მომდევნო გამოცემაში აფიქსირებენ.

ქვეყანაში უნდა არსებობდეს სასტუმრო მომსახურების სავალდებულო და სასურველობითი ხასიათის სტანდარტი; ასევე სასტუმროს ანონიმური ინსპექციები „იდუმალი სტუმრის“ სტატუსით სავალდებულო მაჩვენებლების გათვალისწინებით, რომელიც დროდადრო მოახდენს შესაფასებელი სასტუმროს სტანდარტების გადამოწმებას. რომლის მიხედვითაც მიღებული შედეგი უნდა გავრცელდეს მხოლოდ კონკრეტული დროით.

დღეისათვის სასტუმროების შეფასების თანამედროვე კრიტერიუმად ითვლება სტუმრის მიერ საჯაროდ დატოვებული შეფასება (review), რომელიც მომხმარებლის მიერ სასტუმროს დასაჯავშნ სისტემაზე (მაგალითად, booking.com) ან ცნობილ ონლაინ გზამკვლევიზე (მაგალითად, TripAdvisor ან Destination of World) სასტუმროში ყოფნისას მიღებული პირადი გამოცდილებით მიღებულ შთაბეჭდილებას ასახავს. სტუმარს აქვს საშუალება დააფიქსიროს თავისი აზრი და საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს მომავალ სტუმრებს. ტექსტურ კომენტარებთან ერთად სტუმარს აქვს საშუალება, შეაფასოს სასტუმრო შემდეგი კრიტერიუმებით: Hotel Ratings(Service, Location, Rooms) სოციალური ჯგუფების მიხედვით (What sort of trip was this? Business,Couples, Family, Friends, Solo).

ყოველ სასტუმროში მიღებულ უნდა იქნეს სტუმრის კმაყოფილების შეფასების სისტემა, რომლის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს:

დაკვირვება. ყველა დონის მენეჯერებმა უნდა შეამჩნიონ არასაკმარისი სერვისის ნიშნები. მათ რიცხვს მიეკუთვნება რიგები, სტუმრების მიერ ინფორმაციის მიღების დიდხანს ლოდინი (უშუალოდ დახლთან ან ტელეფონთან), პერსონალის მიერ სტუმრის იგნორირება, შეპირებების შეუსრულებლობა, ჭუჭყი (სიბინძურე), უსუფთაობა. სასტუმროს მუშაკების შეფასება წარმოებს სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად, მაგალითად, ტარდება პერსონალის წერილობითი ტესტირება სტანდარტების ცოდნის დადგენისთვის, გასაუბრებები მუშაკებთან, კოლექტივში მიკროკლიმატის, სტიმულების, ინტელექტუალური და მატერიალური რეზერვების შეფასება. ანგარიშის სახით მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგები გადაეცემა გენერალურ დირექტორს, რომელიც იღებს

გადაწყვეტილებას, მაგალითად, ხელმოკრედ ჩაატაროს სწავლება ან დისციპლინარული სასჯელი შემოიღოს.

სტუმრების ანკეტირება. ყოველ სტუმარს სთავაზობენ, შეავსოს ანკეტა, რომელიც მოიცავს შეთავაზებული მომსახურების ყველა დასახელებას და „დამაკმაყოფილებლიდან“ „უმაღლესი“ შეფასების სკალას. სურვილის მიხედვით სტუმარს შეუძლია დაწეროს გამოხმაურება, თავისი შთაბეჭდილებები მომსახურების შესახებ. იმ სტუმრებისთვის, რომელთა კატეგორიაა „5 ვარსკვლავი“, სადაც სერვისი უნდა იყოს პირველი კლასის, შეესაბამებოდეს სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს სტუმრების სხვადასხვაგვარ მოთხოვნებს, დაუშვებელია, რომ ხარისხის ნიშნული დაეშვას „უმაღლესის“ ქვემოთ.

მომსახურების ხარისხის აუდიტის განხორციელება საშუალებას იძლევა ამაღლდეს სასტუმროს მმართველობა, ასევე ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილში, შიდა ფუნქციებსა და პროცესებში ზრდის მის გამჭვირვალობას.

სასტუმროს საქმიანობაში უხარისხოდ შესრულებული დავალება მთელ რიგ შეცდომებს იწვევს. იმის მიუხედავად, თუ ვინ მუშაობს ცუდად, ზარალობს სასტუმროს რეპუტაცია. ამიტომ შეთავაზებული მომსახურების ხარისხის კონტროლი უნდა განხორციელდეს დღე-ღამის (24 სთ-ის) განმავლობაში წლის 365 დღის მანძილზე.

ხარისხის ანალიზი მართვის კონცეფციის გაგებასა და თვითშეფასებას მოითხოვს. თვითშეფასება შეიძლება ჩატარდეს დამოუკიდებლად ან იმ კონსულტანტების დახმარებით, რომლებიც ამ პრაქტიკას ფლობენ. ეს საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს ორგანიზაცია ზევიდან ქვევით, მისი განვითარების დონისა და იმის გასარკვევად, თუ რომელი რგოლი (უბანი) უფრო მეტად საჭიროებს განვითარებას.

მომსახურების სფეროში მომხმარებლებთან კავშირი ხორციელდება კონტაქტური პესონალის მეშვეობით. სთავაზობს რა მომსახურებას, პერსონალი უშუალოდაა ჩართული მარკეტინგულ საქმიანობაში. მომსახურების გაწევისას მუშაკის ნებისმიერი შეცდომისა და თხოვნის შეუსრულებლობის გამო სტუმარი ვერ იქნება მომსახურებით კმაყოფილი. ამასთან, კომპანია ვერ მოასწრებს თავისი მუშაკების შეცდომების გასწორებას და შესაბამისად უარყოფითი ინფორმაცია გავრცელდება ძალზე სწრაფად.

შიდა მარკეტინგის პროცესი მოიცავს მომსახურების კულტურას, კადრების მართვისადმი მარკეტინგულ მიდგომას (დაქირავების, სწავლების პროცედურები, მუშაობა გუნდში, შრომის პირობების კონტროლი), პერსონალს შორის მარკეტინგული ინფორმაციის გავრცელება, მოსამსახურეთა წახალისების სისტემის შემოღება.

თანამედროვე მომხმარებელი კარგადაა გაცნობიერებული შეთავაზებული მომსახურების ალტერნატიული სტანდარტების შესახებ. იზრდება ასევე მისი მოლოდინი, ამიტომ ის ხდება უფრო კრიტიკული მომსახურების ხარისხისადმი. ორგანიზაციას, რომელიც წარმატებით სთავაზობს მომხმარებელს მაღალხარისხიან მომსახურებას, ახასიათებს:

- მომხმარებლების საჭიროებებისა და მოთხოვნების გაგება;
- მომსახურების საფუძვლიანად შემუშავებული სტრატეგია;
- მომხმარებლებსა და მუშაკებზე ორიენტირებული მიწოდების სისტემა;
- კარგად მომზადებული, მოტივირებული და მართვადი მუშაკები.

დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალი ხარისხის მუდმივობის დაცვას. სასტუმრომ უნდა შესთავაზოს საჭირო მომსახურება ყოველთვის, თუნდაც იქ ერთი სტუმარი ცხოვრობდეს. ამასთან, მომსახურების შეთავაზება და მომსახურების პოლიტიკა ერთიანი უნდა იყოს. თუ სტუმარი იღებს უფრო ნაკლებს, ვიდრე ელოდა, ის რჩება უკმაყოფილო და ამ სასტუმროში არასოდეს დაბრუნდება. კომერციული წამატების საწინდარია პოტენციური მომხმარებლის ნებისმიერი შესაძლო სურვილის გამოცნობის უნარი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.tripadvisor.com/>
2. <https://www.booking.com/>
3. <https://us.dotwconnect.com/interface/en/login>

ლარისა დოლიკაშვილი
სასტუმროს მომსახურების ხარისხის აუდიტი
რეზიუმე

სასტუმროს მომსახურების ხარისხის აუდიტის განხორციელება საშუალებას იძლევა ამდღეს სასტუმროს მმართველობა ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილში, შიდა ფუნქციებსა და პროცესებში ზრდის მის გამჭვირვალობას.

აუდიტის რეალიზაცია სასტუმროს ფარული, ასევე მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების აქტივიზირებას ეხმარება, რაც თავის მხრივ სრულყოფს თანამშრომელი - სტუმრის ურთიერთობას. შედეგად, სასტუმრო ხდება უფრო კონკურენტუნარიანი, ბაზრზე იზრდება მისი ავტორიტეტი რაც შესაბამისად მოქმედებს სასტუმროს დატვირთვის დინამიკაზე და მომგებიანობაზე.

სასტუმროების მენეჯერების ნაწილმა არ იცის, როგორ გამოასწოროს შედეგი და სტუმრებს შესთავაზოს მაღალი დონის მომსახურება, ბევრს ამის სურვილიც არ გააჩნია. სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურები ვალდებულია აიძულოს მეწარმე, რომ მომხმარებელს მიაწოდოს ის მომსახურება რა ფასსაც ახდევინებს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ასევე სასტუმროების მუშაკთა „განათლებაზე“, მართვის თანამედროვე მეთოდებისა და მომსახურების ეთიკური ნორმების დანერგვაზე. უნდა იყოს ბევრი ხელმისაწვდომი ლიტერატურა, სახელმძღვანელო, რომ სასტუმროების მფლობელებმა თუ მენეჯერებმა დამოუკიდებლად შეეძლონ გადაიზიდება.

Larisa Dolikashvili
Quality Audit of Hotel Service
Summary

The quality of audit of hotel services enhances the management of the hotel, as well as part of the organizational structure, increases its transparency in internal functions and processes. Audit Realization helps to activate the hidden, material and intellectual resources of the hotel, which in turn improves the employee-guest relationship. As a result, the hotel becomes more competitive, the market is increasing its authority, which therefore operates on the loading dynamics and profitability of the hotel.

Part of hotel managers do not know how to improve the result and offer guests a high level of service, many have no desire to do so. The relevant corporations are obliged to force the entrepreneur to provide the customer with the price. The state should also take care of the "educators" of hotel workers, the introduction of modern methods of management and ethical norms of service. There should be a lot of available literature, a guide that hotel owners or managers can independently transfer.

Vakhtang Svanadze
Tbilisi Teaching University, Associated professor (Tbilisi, Georgia)

Capital market development problems in Georgia

Besides direct investments, there are two major alternatives for financing of business and economy - bank loans and the capital market. The first mechanism implies the flow of investors' money to banks in form of deposits (for certain interest) and its use by banks for issuing loans (with higher interest). In case of the capital market, money directly flows from investors to the economy - in exchange for securities issued by companies or other issuers.

When the best specialists of the field, with the assistance of US government, were designing foundations of the capital market in Georgia in 1998-2000, it was clear that the above two alternative, competing financing mechanisms should have been developed independently in the post-soviet state. In the countries with mature economies, these mechanisms are equally developed and hold commensurate shares in the market of financial services, as they had been developing simultaneously and had gone through comparable stages of development. Evidently, if two alternative mechanisms are in similar conditions (in other words at similar stages of development), natural competition takes place and even helps to increase their efficiency; However, if at the starting point one of them is at initial level of development, whereas the other has an apparent advantage (which was the case in Georgia due to historical or subjective reasons), natural competition between the two becomes impossible as the dominant mechanism will attempt to thwart any attempts of development of its competitor.

American experts were well aware of the situation and took it into consideration (despite the opposition from the commercial banks and the National Bank of Georgia) while drafting the Law on Securities Market, which was adopted in 1998 by the Parliament of Georgia (it was recognized as one of the best laws in the post-communist countries). According to the law, the securities industry was segregated from its natural competitor – the banking sector, to enable development of the securities market independently. This separation was reflected in number of aspects: banks could not participate in the market directly (only through subsidiary brokerage firms); none of a stock exchange shareholders could own more than 10% of its shares, while banks aggregate shareholding in stock exchange could not exceed 50%; securities market and its participants were regulated by the independent state regulator – the National Securities Commission of Georgia - which in addition to the regulatory functions was inclined to promote development of the capital market in the country.

Based on this legislation, in 1999-2000 the basic securities market infrastructure (the Georgian Stock Exchange, the Central Securities Depository of Georgia, 12 independent securities registrars) was established and became operational up to 40 brokerage companies were created and functional.

Securities market is a complex and multidimensional mechanism. Even the lack of a single piece of the mechanism is enough to provoke its failure. Therefore, there are numerous objective and subjective factors that influence normal functioning of the securities market. Currently, most of negative objective factors have been eliminated: for example, the macroeconomic situation is relatively stable, the share of shadow economy in the economy is minimal, crime rate has decreased, violation of property rights by organized crime or government bodies is practically eradicated.

As for subjective factors, they often influence economic policy priorities and relevant reforms, and are reflected in legislation in the first place. Unfortunately, securities market was never a priority for either of the previous governments. Yet, as mentioned above, the Law on Securities Markets was formulated and adopted with the assistance of USAID and leading American experts. The law was a solid foundation for development of the securities market in Georgia and in fact, in 2000-2007 it started to gradually gain strength.

However, in 2007-2008 a powerful subjective factor came into play - policies of the United National Movement and the interests of one of the largest commercial banks closely related to the party (which was the first one to sense the danger to the status-quo, when there are no alternatives to commercial banks in Georgia's financial sector). As mentioned above, none of the governments was interested in developing of the securities market in Georgia. They were actively going against the basis of the existence of the securities market, such as corporate ownership diversification, developing of transparent and democratic mechanisms of corporate governance. In fact, it was much easier for them (UNM) to "control" small group of large owners and to control funding of all businesses in the coun-

try via two-three large banks. The previous government did not need a broad circle of private owners, since it would become the basis of middle class and an additional “head-ache”. This was exactly why selling the shares of leading Georgian companies on the local market was blocked. For instance, the head of the government often voiced the opinion to sell shares of Georgian Railway on Shanghai (!) or London stock exchange, and not in Georgia: like Georgian citizens were not worthy to become the shareholders of successful Georgian companies. Of course, these actions would have contributed to development of stock markets in China and UK, not in Georgia!

Moreover, by lobbying from the biggest banking group linked to the previous government’s two prime ministers, securities market legislation was distorted, which subsequently led to discretization and destruction of the Georgian securities market. More specifically:

- Independent state regulator was abolished and the overseeing function of the securities market was passed over to the National Bank of Georgia, whose primary task is to develop the competitor banking system. In the best case scenario, the securities market would appear to be a “Step child” (as the latest developments illustrate, NBG considers much of the securities market institutions as its competitors);
- Commercial Banks were allowed to get involved in brokerage and investment banking activities;
- The restrictions on the ownership of the stock exchange were abolished and the banks were allowed to take full control over the competitor sector’s infrastructure;
- Moreover, before these amendments, it was mandatory to trade securities listed and/or admitted to a stock exchange in transparent and competitive environment - on the stock exchange. After the amendments, it was no more mandatory. As a result, most of the trades (95%), moved outside of the stock exchange, to the shadow, to obscure and uncompetitive environment. As a result, the information about the prices became less reliable and in many cases, artificial (in fact, according to the information reported to the stock exchange, often the price on the same security differed 10 times and more during the day)

All the factors mentioned above created mistrust toward the securities market among local and foreign investors. As a result, the market capitalization and securities turnover dropped significantly.

Additionally, also subjective factors are in roots of the following events hindering securities market development in the country:

- After steady but consistent growth of the market in 2000-2007, NASDAQ-OMX made proposal to buy the controlling stake of the Georgian Stock Exchange and bring the country’s securities market to the next level of development. The commercial bank associated with two ex-prime ministers vehemently opposed the initiative, lobbied the above-mentioned destructive changes to the legislation, thus made at the one hand, a detrimental blow to the securities market of Georgia and, at the second hand, thwarted one of the largest stock-exchange operators NASDAQ-OMX’s entrance in Georgia; After 2012, the legislation proposed by the Financial-Budgetary Committee of the Parliament of Georgia, aimed at hedging the afore-mentioned detrimental amendments, is being blocked by the same banking group for 5 years now;
- In 2014-2015, full control was established over the whole infrastructure and key institutions of the competitor sector - securities market – by group of commercial banks;
- The same group speculates and propagates the myth as if there is not enough money in the country and it is necessary to sell shares of successful Georgian companies at foreign stock markets instead of making their IPOs in Georgia (however, only the Georgian banking system as a whole has GEL16 billion worth funds on its deposits);
- Slow-down of pension reforms.

Therefore, everything depends on the key political decision - whether priority will be given to some political groups and monopolistic aspirations of banks linked to them, or to the interests of country development. If one looks at the history of developed nations, the choice they have made is quite evident.

As mentioned above, currently around GEL16 bn is at the bank deposits and significant part of the money would be directed toward alternative investment channels - in case they exist. Moreover, interest rates on deposits in foreign currency are significantly reduced compared to previous years. Therefore, potential demand for attractive financial instruments is quite high. What really matters is realization of this demand. So what is hindering the process?

As already mentioned, numerous factors determine functioning of the complex capital market mechanism. During various stages of existence of independent Georgia, number of factors hindered the operation of this mechanism. These factors affect demand and supply in the first place.

For instance, factors affecting the supply side are:

- If the government of Georgia starts selling shares of large and successful companies (like Georgian Railway, Georgian Oil and Gas Corporation) at other country's stock markets (as the previous government wanted to do the same on Shanghai(!) or London Stock Exchange), this of course will have a negative effect on the supply at the Georgia's securities market (contributing to the increase of supply to the Chinese or British markets) and vice versa, public offerings in Georgia will increase the supply of securities in Georgia.
- If the propaganda of the powerful interest groups continues, as if there is no money in Georgia and it is only abroad, private companies wishing to make public offerings of their securities will turn their views to stock markets abroad. As a result, instead of selling their shares in Georgia, they will supply the stock markets abroad.
- The situation, in which the main securities market infrastructure is controlled by banks (which was finally implemented in 2014 as a result of the 2007-2008 amendments in legislation), creates discomfort to potential non-banking issuers, for whom attracting investments via issuing securities is the way to get rid of the illegitimate dominance of banks.

Whereas, factors influencing the demand side are as follows:

- Pension system reform, based on which the pension funds will invest their accumulated funds to the securities market instruments;
- Returning trading of listed securities to the competitive public environment results in objective price formation, it also creates investors' trust vis-à-vis such instruments and thus increases demand on them. While, maintaining the status-quo in legislation pushes the local and international investors away and practically eliminates demand on securities.

Generally, when attractive securities are artificially banned from or driven out of the market, there is a perception that indeed we have low demand on securities in general. However, certain historical examples show that as soon as such securities appear, we have an avalanche increase of the demand on them.

Highlight once again at least some steps essential for successful functioning of the capital market in Georgia:

- First of all (by the end of 2017) amending the Law on Securities Market, which will re-establish the important norms, in force before the destructive 2007-2008 amendments took place. At the next stage, to complete final harmonization of the securities market legislation with the EU Directives and other international standards (2018-2020);
- Reestablishing state regulation of the securities market by an agency independent from the National Bank of Georgia;
- Eradicating currently existing asymmetry between the banking mechanism and the securities market, in legislation and other regulatory frameworks (taxation, currency regulation etc.)
- Eliminating control of banks over the securities market infrastructure (stock exchange, central securities depository) and introducing mechanisms of ownership diversification, which will guarantee level playing field approach and thus increase trust of investors and issuers;
- Implementing of the pension reform, by introducing in addition to the existing pay-as-you-go system of the funded (defined contribution) pension system pillars, which will entail investment of significant part of the accumulated capital of pension funds in local securities market instruments – e.g. in Georgian economy;
- Public offering of shares and bonds of state owned companies in Georgia, or making such IPOs in parallel at Georgian and foreign stock exchanges (dual listings).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. International financial corporation. The importance of local capital markets for financing development. IFC, 2017.
2. WWW.GSE.GE;
3. WWW.NBG.GOV.GE.

ვახტანგ სვანაძე
კაპიტალის ბაზრის განვითარების პრობლემები საქართველოში
რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ფასიანი ქაღალდების ბაზრის როლს კორპორაციულ საკუთრებით ურთიერთობებში. მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობა ბიზნესის მესაკუთრეობაში ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს და საზოგადოების ინკლუზიურ განვითარებას. ბიზნესის თანმესაკუთრეობაში ჩართულობის საუკეთესო საშუალებას წარმადგენს ლიკვიდური კაპიტალის ბაზარი, რომლის განვითარებაც საქართველოში სერიოზულ პრობლემებს აწყდება. გაანალიზებულია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების სპეციფიკა 2000 წლიდან დღემდე და გამკვეთილია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან მის განვითარებას. განსაკუთრებული ადგილი დათმობილი აქვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუტებში კონკურენტი დარგის – საბანკო სექტორის დომინირების საკითხს, რაც საბოლოოდ იწვევს საქართველოს საფინანსო ბაზრის დეფორმაციასა და მის სრულ მონოპოლიზაციას.

Vakhtang Svanadze
Capital market development problems in Georgia
Summary

The article is devoted to the role of the capital market in property relations. Involvement of the wide range of population in business ownership promotes the inclusive development of the democratic processes and the society. Liquid capital market is the best way of engagement in business co-ownership, the development of which is faced with serious problems in Georgia. The article analyzes the specifics of establishing of the infrastructure for the securities market in Georgia from 2000 until today, as well as focuses on the underlying problems, which hinder its development. A special place is dedicated to the dominance of the competing sector – Banking sector in the Securities Market Institutions, which eventually causes the deformation and the full monopolization of the financial market.

თამარ ჯანგულაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი (თბილისი, საქართველო)

სოციალური მარკეტინგის არსი, ტექნოლოგია, ტიპები

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაძლიერდა სოციალური მარკეტინგისადმი, როგორც სოციალური პროცესების რეგულირების თეორიისა და პრაქტიკისადმი ინტერესი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს და საკმაოდ ეფექტიანად გამოიყენება საქონლისა და მომსახურების, წარმოების, განაწილების, რეგულირების მარკეტინგული მექანიზმები, „სოციალურ ბაზარზე“ პროცესების მართვა კი უფრო რთულად მიმდინარეობს. ეს განსაკუთრებით, ტრანსფორმირებად საზოგადოებას ეხება, ისე როგორც, მაგალითად, ეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებშია. დასავლურ დემოკრატიაში, რომელიც ასეული წლების განმავლობაში ვითარდება, ამა თუ იმ ფორმით ჩამოყალიბდა სოციალური პროცესების რეგულირების მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება სამოქალაქო საზოგადოებას, დემოკრატას, ადგილობრივ თვითმმართველობასა და სხვა საკვანძო ფასეულობებს.

სოციალური მარკეტინგის წარმოშობის მიზეზებსა და გარემოებებს ყველაზე უკეთესად განსაზღვრავს მარკეტინგის თეორიის ფუძემდებელი და კლასიკოსი ფ. კოტლერი, რომელმაც ტერმინი „სოციალური მარკეტინგი“ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველმა გამოიყენა: „როდესაც მე მხოლოდ ვიწყებდი მუშაობას, ყველა იყო დარწმუნებული, რომ მარკეტინგი ესაა სუპის, ლობიოს და სხვა საქმილის გაყიდვა. მე დავიწყე საუბარი, რომ მარკეტინგი ეხება ყველა სახის გაყიდვას: თქვენ შეგიძლიათ ტურისტის მიიზიდოთ თქვენს ქალაქში და ეს იქნება დასახლებული პუნქტის მარკეტინგი; თქვენ შეგიძლიათ ადამიანებს თავი შეაკავებინოთ მოწვევაზე და ეს იქნება ცხოვრების გარკვეული წესის მარკეტინგი, მე ვუწოდებ ამას სოციალური მარკეტინგი (7).

ამ იდეების განვითარებამ და პრაქტიკაში მრავალი მათგანის რეალიზაციამ, ჯერ მხოლოდ დასავლეთში განაპირობა დიდი ინტერესი სოციალური მართვის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მხრიდან. მიუხედავად სოციალური მარკეტინგის კონცეფციის დიდი ინტერესისა, მისი თეორიული დამუშავების დონე დღევანდელ პირობებში, სპეციალისტების აზრით, არასაკმარისია. ეს, პირველ რიგში, შეეხება არაკომერციული მარკეტინგის, პოლიტიკური და სახელმწიფო მარკეტინგის პრობლემებს, ნაშრომებს, რომლებიც ეხება უშუალოდ მარკეტინგული მექანიზმების გამოყენებას განათლების, ჯანმრთელობის, სპორტის, კულტურის, ეკოლოგიისა და სხვა სფეროებში.

რაც შეეხება სოციალური მარკეტინგის ერთიან კონცეფციას, იგი არ არსებობს და სპეციალისტების აზრით მისი ფორმირება რთული პროცესია და სხვადასხვა მეცნიერებათა, პირველ რიგში, სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა შესწავლის საგანს წარმოადგენს. სხვადასხვა სპეციალისტებიდან საყურადღებოა დიმიტრი აკიმოვის შეხედულება სოციალური მარკეტინგის არსის, ფუნქციების, სტრუქტურის შესახებ. მას მოცემული აქვს სოციალური მარკეტინგის ძირითადი ტიპების ანალიზი საზოგადოების სოციალური მართვის პრაქტიკის მაგალითზე. თანამედროვე პირობებში სოციალური მარკეტინგის პრობლემის განხილვისას დ. აკიმოვი სამი სხვადასხვა მიდგომის შესახებ საუბრობს:

- ✓ კლასიკური მარკეტინგის კერძო შემთხვევა სოციალურ ურთიერთობათა სფეროში გაცვლის პროცესების არსებობასთან კავშირითი ურთიერთობაში;

- ✓ სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგი, რომელიც განსაზღვრავს სოციალურად ორიენტირებული ბიზნესის სპეციფიკას;
- ✓ სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემის „წინწაწევის“ ტექნოლოგიის დასაბუთება.

სოციალური მარკეტინგი, როგორც საზოგადოების სოციალური სფეროს ფუნქციონირების ორგანიზაციის თანამედროვე ტექნოლოგია. სოციალური მარკეტინგის საგნის დახასიათების სამი სხვადასხვა მიდგომიდან მეცნიერთა და პრაქტიკოსთა უმრავლესობა საკვანძოდ მიიჩნევს პირველს. ამ პრობლემის დამუშავებაში პიონერული როლი ფ. კოტლერს ეკუთვნის, რომელმაც შეძლო მარკეტინგის კონცეფციის გავრცელება სოციალურ სფეროზე. სოციალური მარკეტინგი მარკეტინგულ ტექნოლოგიებს, მიდგომებს, პრინციპებს იყენებს საზოგადოების სოციალური სფეროს, მათ შორის სოციალური „პროდუქტის“, კერძოდ, იდეის, ფასეულობათა წინ წაწევისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი „გადატანის“ საფუძველს წარმოადგენს რ. ბაგოცის მიერ ჩამოყალიბებული საკვანძო დებულებები: ა) ინდივიდები და ორგანიზაციები თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იძულებულნი არიან სხვა ინდივიდებთან და ორგანიზაციებთან მონაწილეობა მიიღონ სოციალურ და ეკონომიკურ გაცვლაში; ბ) გაცვლის პროცესები, რომლებიც ბევრი სპეციალისტის მიერ განიხილება როგორც არსებითი, კერძოდ, რომლებზედაც მხარეთა მიერ აქცენტი კეთდება ერთმანეთზე შეხებადი ობიექტების პირდაპირ ტრანსფერზე (გადაცემაზე), სინამდვილეში კერძო შემთხვევებს წარმოადგენენ. რეალურად მარკეტინგული გაცვლა ნაწილობრივ არაპირდაპირია, გაცვლის საგნების სახით გვევლინება არა შეხებადი და სიმბოლური არსებები, ხოლო გაცვლაში მონაწილე მხარეთა რაოდენობა ორზე მეტია; გ) სოციალური მარკეტინგის განხილვა შეიძლება როგორც უფრო ზოგადი მარკეტინგული კონცეფციის კერძო შემთხვევა, რაც დაკავშირებულია სოციალურ ურთიერთობათა სფეროში გაცვლის პროცესის წარმოშობასა და მსვლელობასთან (2).

გაცვლის პრობლემა არაა მარტივი, რამდენადაც ზოგიერთი მეცნიერი გაცვლის პროდუქტებს ათანაბრებს ეკონომიკურ, საბაზრო პროცესებთან და სოციალურ მარკეტინგს, როგორც მარკეტინგულ კონცეფციას ყოველთვის სათანადოდ არ აღიქვამს (არ აცნობიერებს), თვლიან რა, რომ გაცვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ეკონომიკურ, საბაზრო საფუძველებზე (3).

თუმცა, ბევრი ეკონომისტი დასოციოლოგი ფიქრობს, რომ საუბარი შეიძლება იყოს არა მხოლოდ კომერციულ გაცვლაზე, რაც დაკავშირებულია მომხმარებელთა მოთხოვნილებისა და საჭიროების დაკმაყოფილებასთან, არამედ, ასევე, საქონლის ან მომსახურების გაცვლაზე, რომლებიც არაკომერციული პროდუქტების ბაზარზე ფუნქციონირებენ. კომერციულ გაცვლას, რომელიც მოგებაზეა მიმართული, აერთიანებს ანალოგიური აუცილებელი პირობები, არაკომერციული გაცვლა კი წარმოადგენს არაკომერციული სუბიექტის მოთხოვნილების დაკმაყოფილების წესს, რომლის მიზანიც არაა მოგების მიღება.

მაშასადამე, გაცვლა წარმოადგენს მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას - მეორე მხარისთვის სანაცვლოდ რაიმეს მიწოდებით. ასე განიხილავს გაცვლას და, შესაბამისად, მარკეტინგსაც რ. ბაგოცი იმ თვალსაზრისით, რომ გაცვლის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ე. წ. კომერციული პროდუქტები, არამედ ასევე ფასეულობა და იდეები, სოციალური და პოლიტიკური პროგრამები. მაგალითისათვის, რელიგიური მარკეტინგის სფეროდან, კერძოდ, მართლმადიდებლური ეკლესიის რეალობიდან გაცვლის ობიექტად შეიძლება გამოვიყენოთ ბიბლია, როგორც ძირითადი კონცეპტუალური დოკუმენტი, რომელიც მომხმარებლისათვისაა (მორწმუნეთათვის) გათვალისწინებული. მიიღეს რა მორწმუნეებმა ტექსტურად გაფორმებული ფასეულობა, შეძენას ახდენენ თავისი რელიგიური რწმენის სანაცვლოდ. ასეთივე სახით მორწმუნეებს „გასაცვლელად“ შეიძლება შევთავაზოთ ყურანი ან თალმუდი. სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ,

როგორცაა პოლიტიკური კანდიდატის სოციალური ავტორიტეტის გაცვლა ამომრჩეველთა ხმებზე, ეკოლოგიური უსაფრთხოების იდეის მხარდამჭერთა რაოდენობის - გარემოზე ადამიანთა შეხედულების ცვლილებაზე, ქველმოქმედების გაცვლა თვითპატივისცემაზე, სოციალურად საპასუხისმგებლო ორგანიზაციის იმიჯის - საზოგადოების და სპონსორულ მხარდაჭერაზე.

სოციალურად საპასუხისმგებლო მარკეტინგი, როგორც სოციალურად საპასუხისმგებლო ბიზნესის საფუძველი. დღეს ხშირად წერენ სოციალ-ეთიკურ მარკეტინგზე, საზოგადოებრივ ან სოციალურად ორიენტირებულ, სოციალურად საპასუხისმგებლო, საზოგადოებრივ მარკეტინგზე და ა.შ. ამ კონტექსტში მუშავდება აგრეთვე, კონცეფციები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურად საპასუხისმგებლო ბიზნესის პრობლემებთან და კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან. ყველა ეს მიდგომა შეიძლება გაერთიანდეს „სოციალურად საპასუხისმგებლო მარკეტინგის“ ტერმინში, თუმცა ჩამოთვლილი სხვადასხვა მიდგომა მოითხოვს ცალკე განხილვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამას მოითხოვს კონკრეტული კვლევითი ამოცანები. სხვა ავტორების არაერთ ცნობილ განსაზღვრასთან ერთად, დ. აკიმოვის მიერ ლიტერატურაში მოცემულია სოციალური მარკეტინგის ერთ-ერთი პირველი განსაზღვრა, რომლის არსი დაკავშირებულია საზოგადოების სოციალური სფეროს ფუნქციონირების ორგანიზაციის ტექნოლოგიასთან: „**სოციალური მარკეტინგი** - სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოძრაობათა და ცალკეული ფიზიკური პირების საქმიანობაა სოციალურ კონკურენტულ გარემოში, რომელიც ემყარება მარკეტინგის პრინციპებს და მიმართულია სოციალური პროდუქტების წინ წაწევის მიზნების მიღწევასთან. როგორც აღნიშნავენ ფ. კოტლერი, დ. ბოუენი და დ. მეიკენზი „მარკეტინგის სოციალური კონცეფცია - ბიზნესის ფილოსოფიის უახლესი მიღწევაა, რომლის თანახმად საწარმომ უნდა „განსაზღვროს“ თავისი მიზნობრივი ბაზრის საჭიროება, სურვილი და ინტერესი და ისინი უფრო ეფექტიანად უნდა დააკმაყოფილოს კონკურენტებთან შედარებით, შეინარჩუნონ ან აამაღლონ ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობა“ (4).

თუმცა, ამ მტკიცებულებაში სერიოზული მეთოდოლოგიური წინააღმდეგობაა. უ. ლამბენის მტკიცებით, იგი სოციალური პროცესია, მიმართულია ადამიანისა და ორგანიზაციის მოთხოვნილებებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად საქონლისა და მოხმარების თავისუფალი კონკურენტული გაცვლის გზით, რომლებიც მომხმარებლისათვის ფასეულობას წარმოადგენენ (5).

ბოლო დროს გამოცემულ ლიტერატურაში, რომელიც ასე თუ ისე უკავშირდება სოციალურად საპასუხისმგებლო მარკეტინგის პრობლემებს, ყურადღება გამახვილებულია კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე, პრაქტიკულად ყურადღება არ ექცევა შესაბამისი მიდგომების საფუძველების განსაზღვრას. კერძოდ, რატომ უნდა იყოს ბიზნესი სოციალურად საპასუხისმგებლო? ვფიქრობთ, დადგა დრო, პასუხი გაეცეს ამ კითხვას.

ამჟამად სოციალურად საპასუხისმგებლო მარკეტინგი ეფუძნება რამდენიმე ჰიპოთეზას:

- ✓ მომხმარებელთა სურვილები ყოველთვის არ პასუხობს მათ ინტერესებს, აგრეთვე მთლიანად საზოგადოების ინტერესებს;
- ✓ მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებიც დემონსტრირებას უკეთებენ ზრუნვას მათი მოთხოვნილებისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ასამაღლებლად;
- ✓ ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა მიზნობრივი ბაზრებისადმი ადაპტაცია იმისათვის, რომ არა მარტო საჭიროებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება

იყოს უზრუნველყოფილი, არამედ ასევე ინდივიდუალური და კოლექტიური კეთილდღეობაც და აგრეთვე, შენარჩუნებულ იქნეს მყიდველთა ლოიალურობაც.

სოციალური მარკეტინგი, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების მარკეტინგი. ზემოთ განხილული სოციალურად მნიშვნელოვანი ორი სახის მარკეტინგისაგან განსხვავებით, მესამე დაკავშირებულია სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების რეალიზაციასთან და ახლა გადის ინსტიტუციონალიზაციის საწყის სტადიას. მისი არსი იმაშია, რომ დაეხმაროს საზოგადოებას სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების წინ წაწევაში. ინგლისში მან მიიღო „კომერციული საქმიანობის“ სახელწოდება, რომლის საშუალებით კომპანია სოციალურ ინსტიტუციებთან იწყებს თანამშრომლობას საკუთარი რეპუტაციის ასამაღლებლად. ერთდროულად პროდუქტის წინ წაწევის პრობლემა განსხვავდება სოციალური იდეის წინ წაწევისგან იმით, რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ადამიანის ცნობიერებაში ამა თუ იმ შეხედულების (ფასეულობის) დანგრევასთან იმ მიზნით, რომ შემცირდეს ადამიანზე ნეგატიური და განვითარდეს დადებითი სტერეოტიპების ზემოქმედება.

რაც შეეხება სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების მარკეტინგს, მის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემისა და მოთხოვნილების არჩევა, მაგალითად, იმიჯის შექმნა და წინ წაწევა საქართველოსათვის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, სოციალური დახმარება, კულტურა და ხელოვნება, განათლება, ჯამრთელობის სფერო, ეკოლოგია, მოქალაქეთა უფლებების დაცვა და ა.შ. ამ შემთხვევაში სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემის მარკეტინგი წარმოგვიდგება როგორც თავისებური მარკეტინგული ტექნოლოგია, რომლის ფარგლებშიც გამოიყენება სოციოტექნოლოგიური მიდგომა.

სოციალური პრობლემების მარკეტინგი - სოციალური მარკეტინგული ტექნოლოგიაა, რომლის საფუძველია აქტუალური სოციალური პრობლემისადმი წინ წაწევის გამოყენება, ე.ი. მაქსიმალური საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობა და პიროვნებაზე, სოციალურ ჯგუფებზე, საზოგადოებაზე შესაფერისი ზემოქმედება ამ პრობლემათა გადასაწყვეტად.

სოციალური მარკეტინგის ძირითადი ტიპები - აქ აღწერილი სოციალური მარკეტინგის თანამედროვე მიმართულებისა და კონცეფციების მრავალფეროვნება მოითხოვს მათ ღრმა, დეტალურ ანალიზს, პირველ რიგში, მათი ტიპებისა და მრავალსახეობის დადგენას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია შემდეგი ძირითადი ტიპები:

- პოლიტიკური მარკეტინგი;
- სახელმწიფო მარკეტინგი;
- ტერიტორიული მარკეტინგი;
- სოციალური მარკეტინგი.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სოციალური მარკეტინგის თანამედროვე კონცეფცია მიზნად ისახავს უმნიშვნელოვანეს, პრინციპულად ახალ, კრეატიულ მიდგომას სოციალური ცვლილებებისა და სოციალური პროცესების რეგულირებისათვის დემოკრატიულ, საბაზრო საზოგადოებაში. ამ კონცეფციაზე დაყრდნობით ტექნოლოგიები შეიძლება გავრცელდეს არა მარტო ვიწრო - სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე, არამედ სახელმწიფო და ტერიტორიული სფეროების მართვაზე, აგრეთვე, პოლიტიკური საქმიანობის ორგანიზაციაზეც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Андреев С. Мелньиченко Л. Основы некоммерческого маркетинга, М., 2000.
2. Багоцци Р. Маркетинг как обмен. СПб, 2001.
3. Бурде П. Социология политики. М., 1993.

4. Котлер Ф., Бауэн Д., Меиткенз Д. Маркетинг. Гостеприимство и туризм. М., 1998.
5. Ламбен Ж. Стратегический маркетинг. СПб. 1996.
6. Морозова Е. Политический Рынаки Политический маркетинг: Концепции, методы, Технологии. М., 1998.
7. Шинкаренко И. Мантры и смертные грехи маркетинга: интервью Ф. Котлеров. Журнал, Эксперт. N 34, 2006.

თამარ ჯანგულაშვილი
სოციალური მარკეტინგის არსი, ტექნოლოგია, ტიპები
რეზიუმე

თანამედროვე საზოგადოებაში მარკეტინგულმა საქმიანობამ შეიძინა მრავალი ნაირსახეობა და შეინარჩუნა არსებითი კავშირი გაცვლის პროცესებთან. მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ინტერესი სოციალური მარკეტინგისადმი, როგორც სოციალური პროცესების რეგულირების თეორიისა და პრაქტიკისადმი.

სტატიაში განხილულია სოციალური მარკეტინგის წარმოშობის მიზეზები და დღევანდელი ვითარება, კონცეფციის ფორმირების პროცესი და ძირითადი ტიპები.

Tamar Jangulashvili
Social Marketing: Essence, Concept, Types
Summary

In the contemporary society the marketing activities gained varieties and maintained substantial link to the processes of change. Interest towards the social marketing as a theory and practice of regulations of social processes has been intensified worldwide.

The article deals with reasons and present situation, process of concept formation and basic types of social marketing.

სოფიო ბლიაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი (თბილისი, საქართველო)

თამარ ზირაქაშვილი
ოსაუ-მიწვეული სპეციალისტი (თბილისი, საქართველო)

მოგებისა და რენტაბელობის ანალიზი

სახალხო მეურნეობა ვითარდება შიდა რესურსების ხარჯზე. დაგროვების ძირითადი წყარო არის წარმოების პროცესში შექმნილი ზედმეტი პროდუქტი, შესაბამისად მოგება საბოლოო ჯამში არის საზოგადოების წმინდა შემოსავალი.

სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური თვალსაზრისით მოგების განხილვა ნიშნავს ფულადი სახსრების დაგეგმილ დაბანდებას იმ მიზნით, რომ დროის განსაზღვრულ პერიოდში შეიქმნას არსებითი, ეკონომიკურად მომგებიანი

სიდიდეები, პირველ რიგში ამ სახსრების ასანაზღაურებლად, შემდეგ კი მოგების მისაღებად და საზოგადოების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. სახსრების ასეთი დაბანდების შედეგი მესაკუთრის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოხდება. თუ ეს არ მოხდება, მაშინ თვით სამეურნეო საქმიანობა აღმოჩნდება კითხვის ნიშნის ქვეშ.

მოგება და რენტაბელობა წარმოების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. მოგება ზედმეტი პროდუქტის გარდაქმნილი ფორმა და წმინდა შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ამასთან მოგება ეს არის, ერთი მხრივ საწარმოს სამეურნეო-საფინანსო ფონდების შექმნის ძირითადი წყარო. ხოლო მეორე მხრივ - სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წყარო.

მოგების მაჩვენებლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოგების სიდიდეზე მოქმედი ფაქტორების გავლენის განსაზღვრა და საწარმოო რესურსების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების შესაძლებლობათა გამოვლენის შედეგად მოგების გადიდება.

საწარმოო მოგება გამოიანგარიშება რეალიზებული პროდუქციის ამონაგებისა და ამავე პროდუქციის სრული თვითღირებულების სხვაობით, გარდა რეალიზაციის შედეგებისა, აგრეთვე სამეურნეო სუბიექტის სხვა სამეურნეო და საანგარიშსწორებო შედეგებსაც.

რენტაბელობა არის საშუალებათა გამოყენება, როდესაც სამეურნეო სუბიექტი წარმოებაზე გაწეული დანახარჯების დაფარვის შემდეგ იღებს წმინდა შემოსავალს.

ანალიზის დანიშნულებისა და მიზნის შესაბამისად, რენტაბელობა შეიძლება გამოითვალოს წარმოებისა და პროდუქციის მიხედვით, ასევე ცალკეული ნაწარმის, შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების მიხედვითაც. გარდა ამისა, ცალკეული დანახარჯებისა და ავანსირებული საშუალებების მიხედვით, ასევე ქონებისა და კაპიტალის მიხედვით.

მოგებისა და რენტაბელობის ანალიზის ჩატარების ინფორმაციის ძირითადი წყაროა აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემები, როგორც არის წლიური ანგარიშგებიდან: ფორმა №1 – ”ძირითადი საქმიანობის ბალანსი”, ასევე ბალანსის დანართები, ამგარიშგებები მოგება-ზარალის შესახებ, ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვ.

მთლიანი შემოსავალი ეს არის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს საწარმოს, ფირმის თუ სამეურნეო სუბიექტის სამეწარმეო და კომერციული საქმიანობის საბოლოო შედეგს. მისი სიდიდე ტოლია მთლიან ამონაგებს გამოკლებული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისათვის გაწეული ხარჯები.

სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის შედეგების შეფასების ძირითადი მაჩვენებელია მოგება, რომელსაც საწარმოები გეგმაში ითვალისწინებენ.

საწარმოს მოგება შედგება: პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგებისაგან, დამხმარე მეურნეობიდან და თუ სხვა დანარჩენი რეალიზაციიდან მიღებული მოგებისაგან და რეალიზაციის გარეშე, ანუ სხვადასხვა საანგარიშსწორებო, საფინანსო ურთიერთობათა შედეგად მიღებული მოგებისაგან.

მოგების გადიდებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი ერთი ნაწილი სახელმწიფოს ბიუჯეტის შემოსავლის მთავარი წყაროა და ხმარდება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, მეორე ნაწილი საწარმოს

განვითარებას და მესამე ნაწილი ამ საწარმოს მუშაკების, აქციონერების, მეწარმეების ინტერესებსა და კეთილდღეობას ემსახურება.

ანალიზისათვის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი საკითხია მოგების სიდიდესთან ერთად წარმოებიდან გაწეული დანახარჯების მიხედვით მოგების სახით უკუგების დონეც, ე.ი. მომგებიანობა ანუ რენტაბელობა.

ვინაიდან მოგების აბსოლუტური სიდიდე სრულად ვერ ასახავს მუშაობის ეფექტურობას, ამიტომ მოგების ანალიზი შეივსება რენტაბელობის სისტემის ანალიზით, რომლებიც შედარებით მაჩვენებლებს წარმოადგენენ.

მოგების მოცულობის ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, მოგების გეგმის შესრულების შეფასებით იწყება. წარმოებიდან მიღებული მოგების სიდიდე გამოიანგარიშება ღირებულებისა და თვითღირებულების სხვაობით.

რენტაბელობის კოეფიციენტის აგება და მასზე მოქმედი ფაქტორების გავლენის განსაზღვრა, რთულ ეკონომიკურ საკითხთა პრობლემაა. რენტაბელობის სირთულემ და მრავალმხრივობამ განაპირობა მეცნიერებათა შორის აზრთა სხვადასხვაობა რენტაბელობის მაჩვენებელთა შესახებ.

ვინაიდან ეკონომიკური ანალიზი მრავალმხრივია თავისი დანიშნულებით და ამავე დროს რენტაბელობა დამოკიდებულია სხვადასხვა მაჩვენებლებზე, ხოლო სხვადასხვა მაჩვენებელთა ეფექტიანობის დახასიათებისათვის გარდა სხვადასხვა მაჩვენებელთა ეფექტიანობის დახასიათებისათვის გარდა განზოგადებული მახასიათებლისა, საჭიროა მათი ცალკეულად რენტაბელობის დონის დადგენა და ეფექტურობის დახასიათება.

ავანსირებულ საშუალებათა მოცულობის, წარმოების საშუალებათა გამოყენებისა და თვითღირებულებაზე მოქმედი დანახარჯების მიხედვით ვიღებთ რენტაბელობის გამოიანგარიშების არა ერთ, არამედ რამოდენიმე კოეფიციენტთა სისტემას, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა ჯგუფში გავაერთიანოთ.

ერთ ჯგუფში შეიძლება ვიგულისხმოთ რენტაბელობის ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც გამომდინარეობენ პროდუქციის თვითღირებულებიდან, როგორც არის მოგების შეფარდება ღირებულებასთან ან თვითღირებულებასთან. ე.ი. ეს იქნება დანახარჯების მოგებით უკუგება. რენტაბელობის განსაზღვრის ასეთი მეთოდი ფრიად გავრცობილია პრაქტიკაში და დიდად მნიშვნელოვანია ეკონომიკურ ანალიზში, განსაკუთრებით ცალკეული სახის რეალიზებული პროდუქციისა და მთელი სამეურნეო საქმიანობის რენტაბელობის დონის განსაზღვრის დროს.

მეორე ჯგუფის რენტაბელობის მაჩვენებლებს შეიძლება მიკუთვნოს საწარმოო ფონდების მიხედვით უკუგება. ე.ი. მაჩვენებელი მიიღება მოგების მასის შეფარდებით ძირითად საწარმოო და საბრუნავ საშუალებებთან (კაპიტალთან), ანალიზის დანიშნულების შესაბამისად ან ქონებასთან.

მესამე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ წმინდა მოგებასა და წმინდა პროდუქციასთან დაკავშირებული რენტაბელობა და ა.შ.

აღნიშნული პროგნიზები დამოკიდებულია ბაზარზე, საკუთრების ფორმაზე, წარმოების სახეზე, წარმოების მოცულობაზე, პოლიტიკაზე და სხვა მრავალ ფაქტორზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდული ფ., ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები თბ., 2003.
2. კვატაშიძე ნ., ფინანსური აღრიცხვა თბ., 2000.
3. ცირამუა ე., ეკონომიკური ანალიზი თბ., 2007.

სოფიო ბლიაძე, თამარ ზირაქაშვილი
მოგება და რენტაბელობის ანალიზი

რეზიუმე

სახალხო მეურნეობა ვითარდება შიდა რესურსების ხარჯზე. დაგროვების ძირითადი წყარო არის წარმოების პროცესში შექმნილი ზედმეტი პროდუქტი, შესაბამისად მოგება საბოლოო ჯამში არის საზოგადოების წმინდა შემოსავალი.

მოგება და რენტაბელობა წარმოების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. მოგება ზედმეტი პროდუქტის გარდაქმნილი ფორმა და წმინდა შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ამასთან მოგება ეს არის, ერთი მხრივ საწარმოს სამეურნეო-საფინანსო ფონდების შექმნის ძირითადი წყარო. ხოლო მეორე მხრივ - სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების წყარო.

Sopho Bliadze, Tamar Zirakhashvili
The Analyses of Profit and Profitability
Summary

National economy develops depending on inner resources. The main source of accumulation is the extra product remained after producing process, thus the profit is really fundamental for the society.

Profit and profitability is the most important indicator of production. It is one of the forms of transformed product and the source of income. On the one hand, it is the main source of creating financial funds. On the other hand, it is the source of budgetary income.

ლია ოტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
(თბილისი, საქართველო)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების პრინციპები და პრობლემების გადაჭრის გზები

XXI საუკუნის საქართველოში განათლების სისტემამ განიცადა არსებითი ცვლილებები, კერძოდ, შეიცვალა სისტემის, დაფინანსებისა და განათლების სისტემის სტრუქტურა.

ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დაფინანსების წყაროების მიხედვით. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, შინამეურნეობების, ინდივიდების მიერ გაწეული ხარჯები და სხვა კერძო წყაროებიდან მიღებული დაფინანსებები.

ევროპის რიგ ქვეყნებში მოქმედებს დაფინანსების შემდეგი სისტემა: ბლოკ გრანტები და მუხლობრივი დაფინანსება.

ევროპის ქვეყნებში უნივერსიტეტებს სახელმწიფოსაგან პირდაპირი გზით გადაეცემათ დაფინანსება და ამ დაფინანსების ოდენობა შესაძლებელია რამდენიმე პარამეტრზე იყოს დამოკიდებული. ყველაზე ხშირად ერთ-ერთი პარამეტრი განისაზღვრება დაფინანსების ფორმულებში, ეს არის წინა წელს ამა თუ იმ უნივერსიტეტში დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა, რომელსაც სათანადო მნიშვნელობა ენიჭება სწავლების მიმართულების მიხედვით. გარკვეულ ქვეყნებში უპირატესობა ენიჭება იმას, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლიათ უნივერსიტეტებს სახელმწიფოსა და სასწავლებლების ხელმძღვანელობას შორის შეთანხმების საფუძველზე (ესტონეთი, ლატვია, ფინეთი), ხოლო ისეთი ქვეყნები როგორც არის საფრანგეთი, ფინეთი და გაერთიანებული სამეფო - ეს ფორმულა გამოითვლება უნივერსიტეტების შენობების ექსპლუატაციის ხარჯებით.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ შეიცვალა ფინანსების მართვის სისტემა. ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ფინანსების მართვის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული სტრუქტურებია სახელმწიფო აუდიტის სამსახური, დამოუკიდებელი აუდიტორი და ა.შ.

აქედან გამომდინარე, განათლების დაფინანსების სისტემას ახალი კონცეფციის საფუძველზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო. თანამედროვე განათლების პარადიგმა გულისხმობს კვლევითი მონაცემების დაფინანსებას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური რესურსების საკმარისობა და ეფექტურობა საგანმანათლებლო დაწესებულებას ბაზარზე კონკურენტუნარიანს ხდის.

როგორც არ უნდა იყოს სახელმწიფოს ფინანსური ძალა, გარე საფინანსო წყაროების მიუხედავად, ამკარაა, რომ უმაღლესი სასწავლებლების ფინანსური ასპექტები ყველაზე მეტად არის დაუცველი. აქედან გამომდინარე, რამდენიმე ფუნდამენტური სტრატეგიული საკითხი წარმოიქმნება სახელმწიფოსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის: თუ როგორ უნდა გამოიყოს ფინანსური რესურსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმაღლესი განათლების დანიშნულებისათვის; რა სამართლებრივი და ფინანსური მექანიზმებია ოპტიმალური გლობალიზაციის პირობებში სწავლის ხარისხისა და სასწავლებლების კონკურენტუნარიანობის მისაღწევად.

სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო პროცესები უნდა იყოს საჯარო, კერძოდ ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები უნდა იყოს ყველა მსურველისათვის საჯარო და ხელმისაწვდომი (1).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსება. ბიუჯეტიდან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აუცილებელია გამოეყოს ფინანსური სახსრები სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, პოსტდოქტორანტების ისეთი აქტივობების დასაფინანსებლად, როგორებიცაა: კონფერენციებში მონაწილეობა და საერთაშორისო ჟურნალებში სტატიების პუბლიკაცია და ა.შ.

როგორც ნებისმიერ საფინანსო დაწესებულებებში ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების საფინანსო სტრუქტურას გააჩნია საინვესტიციო გადაწყვეტილებების შეფასების კრიტერიუმები, ვინაიდან უმაღლესი განათლების მისაღებად გადახდილი ფინანსური რესურსები წარმოადგენს განათლებაში დაბანდებულ ინვესტიციებს და გააჩნია უკუგებადობის პერიოდი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა ახორციელებდნენ შიდა კონტროლს, რომელიც წარმოადგენს მენეჯერული და ფინანსური კონტროლების ერთობლიობას, რომლებიც უნდა მოიცავდეს დაწესებულების სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, ასევე შიდა აუდიტს, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა მისი საქმიანობის კანონიერად, ეკონომიურად და ეფექტურად წარმართვის საშუალებით.

შიდა აუდიტორები ახორციელებენ შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შეფასებას და იძლევიან რეკომენდაციებს მის გასაუმჯობესებლად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საფინანსო სისტემის შიდა კონტროლი არის დინამიური, ინტეგრირებული პროცესი, რომელშიც ხელმძღვანელობა და პერსონალი ჩართული უნდა იყოს იმისათვის, რომ მოხდეს რისკების მართვა და დაწესებულების წინაშე არსებული მიზნების მიღწევა.

ნეო-ლიბერალიზმის გადმონაშთად შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფო სუბსიდიების შემცირება უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში და განათლების როლი ეკონომიკაში.

უმაღლესი განათლების დაფინანსების პრობლემები მინდა აღვნიშნო, რომ არ არის გლობალური და შესაძლებელია მოგვარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ფინანსები, თბ., 2016.
2. მურღუხოვი ი. კერძო უმაღლესი სასწავლებლების ბიუჯეტის დაგეგმვის მენეჯმენტის თეორიული საფუძვლები, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“; თბ., 2012.
3. სონღულაშვილი ა. ირანში ქართველთა ნაკვალევზე, თბ., 2005.
4. www.mes.gov.ge

ლია ოტიაშვილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების პრინციპები და პრობლემების გადაჭრის გზები რეზიუმე

საგანმანათლებლო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას და კონკურენციაში არიან ერთმანეთთან, რისკავენ მოხვდნენ ორ უკიდურეს სიტუაციაში. საგანმანათლებლო მომსახურების ფასის შემცირებამ (მოსწავლეთა შესაძლო ბევრი ოდენობის მოზიდვის მიზნით) შეიძლება

გამოიწვიოს სწავლების ხარისხის მკვეთრი დაწევა და პირიქით, ფასის გაზრდამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსწავლეთა მკვეთრი გადინება სხვა დაწესებულებებში. როგორც შედეგი, ეს გამოიწვევს ფულადი შემოსულობების შემცირებას და ფინანსური მდგრადობის შესაძლო დაკარგვას.

უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიუჯეტის სწორ დაგეგმვას, შედეგნას და ხარჯების სწორ განაწილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ბიუჯეტის დაგეგმვა ძირითადად დამოკიდებულია იმ პირებზე, რომლებიც ამ პროცესში არიან ჩართულნი და იღებენ გადაწყვეტილებებს. თანხების გადანაწილება უნდა ხდებოდეს გონივრულად, აუცილებელია თანხები ნაწილდებოდეს იმ მიმართულებათა დასაფინანსებლად, რომლებიც ხელს უწყობენ საგანმანათლებლო პროცესებს.

Lia Otiashvili

Principles of Funding High Education Institutions and Ways to Solve the Problems

Summary

Educational organizations, which carry out commercial educational activity and are in competition with each other, risk to fall in two radical situations. Reduction of educational service price (for the purpose of possible attraction of large number of students) may cause sharp lowering of education quality and in contrary, increase of price may cause outflow of students in other institutions. As a result, it will cause reduction of income and possible lose of financial sustainability.

Special importance is given to right planning and preparation of budget and distribution of expenses. Planning of budget is mainly dependent on the individuals which are engaged in this process and make decisions. Distribution of funds shall be made reasonably. It is necessary to distribute the funds for financing the directions, which promote educational processes.

ნინო ზურაშვილი

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი (თბილისი, საქართველო)**

კონკურენციისათვის ხელშემშლელი ფაქტორები საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების სისტემაში

სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების სისტემა არის სისტემა, რომელსაც იყენებს ბიზნესი, რათა ტენდერების საშუალებით შესთავაზოს საკუთარი პროდუქტი ან მომსახურება სახელმწიფოს. სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების სისტემა მუშაობს ონლაინ, ინტერნეტის საშუალებით. სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების სისტემის გამოყენება შეუძლიათ ოპერატორებს თუ სისტემაში დარეგისტრირდება ეკონომიკური სუბიექტი. აღნიშნული სისტემა საშუალებას აძლევს ბიზნესმენებს ჩაებნენ კონკურენტულ ბრძოლაში და სახელმწიფოს შესთავაზონ საუკეთესო პროდუქტი ან მომსახურება. სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების სისტემის საშუალებით აცხადებს ტენდერს, სადაც აღწერილია მოთხოვნები. მოთხოვნების დაკმაყოფილების

შემთხვევაში თითოეულ ბიზნეს-სუბიექტს აქვს შანსი გაიმარჯვოს ტენდერში. სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების სისტემის არსი მდოგმარეობს იმაში, რომ მან შეძლო ჩაენაცვლებინა ტრადიციული ბიუროკრატიული სისტემა, სადაც თითოეული ეტაპი უნდა ეწარმოებინა ბიზნესის მფლობელს ქალაქდზე დაწერილი საბუთებით და უწევდა გადაადგილება მრავალჯერ. სახელმწიფო ელექტრონული სისტემის საშუალებით შესყიდვები ხორციელდება ელექტრონულად, რაც ძალიან მარტივია, როგორც მომწოდებლებისათვის, ასევე კონტრაქტორებისთვის. ნაკლები დროის დანახარჯებით შესაძლებელია ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება(4).

2010 წლის ბოლოსათვის საქართველო გადავიდა მთლიანად ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე. საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემა არის საკმაოდ მაღალი დონის, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან აცილებულ იქნეს კორუფციული გარიგებები. ის ემსახურება კონკურენციის ზრდას საქართველოში მოქმედ კომპანიებს შორის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემის საკანონმდებლო ბაზა ევროკავშირის რეგულაციების მსგავსია და ზოგიერთ შემთხვევაში დაწესებული აქვს კიდევ უფრო მაღალი სტანდარტები, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებშია. საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემაშიც არის გარკვეული ხარვეზები, რომელთა გამო იზღუდება კონკურენციის დონე ელექტრონულ ტენდერებში მონაწილე კომპანიებისთვის (2).

საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემაში თუ განხორციელდება გარკვეული ცვლილებები, რათა აღმოიფხვრას კონკურენციის შემზღლუდავი ფაქტორები შესყიდვების ელექტრონული სისტემიდან, ეს სისტემა შესაძლოა გახდეს მისაბაძი მაგალითი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვისაც კი. საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემა არის გამართული და საქმიანი ურთიერთობის ეფექტიანი ინსტრუმენტი როგორც სამთავრობო უწყებებისთვის, ასევე კერძო ორგანიზაციებისთვის(1).

ტოპ შემსყიდველი სამთავრობო ორგანიზაციებიდან ლიდერობს თბილისის მერია, მას მოჰყვება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი; შპს საქართველოს მელიორაცია; საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო და ა.შ. (3). ტოპ მომწოდებლებს კი წარმოადგენენ „თეგეტა მოტორსი“, „სილქნეტი“, შპს „ალგორითმი“, „მაი მობაილ+“, „ახალი მთვარე“ და ა.შ.

საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემის მთავარ ფასეულობას წარმოადგენს მისი გამჭვირვალობა. შესყიდვის პროცესის ყველა ეტაპი არის გამჭვირვალე და საჯარო. დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა ინფორმაცია ტენდერების შესახებ იხილონ ელექტრონული შესყიდვების ვებ-გვერდზე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ტენდერები და ტენდერების შედეგად გაფორმებული კონტრაქტები, ასევე ელექტრონული ტენდერების პროცედურები შეუძლია ნახოს, როგორც ვებ-გვერდზე დარეგისტრირებულმა მომხმარებელმა, ასევე ვებ-გვერდის ვიზიტორმა (1).

ქართული ელექტრონული შესყიდვების სისტემის მნიშვნელოვან დადებით მხარეს წარმოადგენს ეფექტური გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც გააჩნია სისტემას. თუ მონაწილე, რომელიც ჩართულია საჯარო ტენდერში, ფიქრობს რომ ტენდერი ჩატარდა კანონდარღვევებით, მას შეუძლია ზედმეტი გადაადგილების, დროისა და თანხების ხარჯვის გარეშე ელექტრონულადვე გაასაჩივროს გადაწყვეტილება. თითოეულ საჩივარს განიხილავს დავების განხილვის საბჭო. თუ საბჭო გადაწყვეტს რომ გადაწყვეტილება არასწორად იყო მიღებული, შეუძლია დაავალდებულოს შემსყიდველი ორგანიზაცია, შეცვალოს ან სრულებით გააუქმოს ტენდერის შედეგები. დავების განხილვის საბჭო მოიცავს შესყიდვების სააგენტოს სამ თანამშრომელს და ასევე სამოქალაქო საზოგადოების სამი წარმომადგენელს. აღნიშნული წარმოადგენს მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს.

ელექტრონულ სისტემაზე გადასვლით იზოგება მნიშვნელოვანი რესურსები, როგორცაა, დრო, ფინანსური რესურსები, მანქანა - დანადგარები, დიდი რაოდენობის ქალაქი და ა.შ. რესურსების მნიშვნელოვანი დაზოგვა განპირობებულია იმით, რომ ყველა პროცედურა, დაწყებული კომპანიების განაცხადების მიღებით და მათი ტექნიკური მონაცემების შეფასებით და დამთავრებული ფასების შეთავაზებით და გადახდით, ელექტრონული სისტემის ფარგლებში ხდება(5).

საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემას უპირატესობების მიუხედავად გააჩნია რიგი ნაკლოვანებებისა. ტენდერებში მონაწილე კომპანიების შეფასების დროს, გარდა სხვადასხვა კრიტერიუმებისა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის მიერ შემოთავაზებულ ფასს. გადაწყვეტილების მიღების დროს ერთდროულად უნდა იყოს გამოყენებული ფასისა და ხარისხის კრიტერიუმი. ნაკლოვანებაა ის, რომ მხოლოდ დაბალი ფასის მიხედვით შერჩეული ტენდერში გამარჯვებული კომპანიები ვერ უზურნველყოფენ მაღალი ხარისხის პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზებას სახელმწიფო სტრუქტურებისთვის. მეორე მხრივ, საჯარო შესყიდვების სააგენტოს ჯერ-ჯერობით არ გააჩნია ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც შეძლებს თითოეული კომპანიის ხარისხის შემოწმებას. აღნიშნული საჭიროებს დიდ ფინანსურ შესაძლებლობებს, რომელიც ჯერ არ გააჩნია შესყიდვების სააგენტოს.

საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემის მნიშვნელოვან ნაკლოვანებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მთავრობისა და პრეზიდენტის თანხმობით შედგენილი ტენდერები წარმოადგენს გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებს, სადაც არ შედის ფასის შეზღუდვა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ხარჯები გამოდის საჯაროობისა და კონკურენციის პირობებიდან.

მთავრობის სარეზერვო ფონდი წარმოადგენს გაუთვალისწინებელ ხარჯთა ფონდებს. მთავრობის სარეზერვო ფონდის ბიუჯეტია 50 მილიონი ლარი(7), ხოლო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს წარმოადგენს 5 მილიონი ლარი(8). ასევე თბილისს გააჩნია გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდი 3,2 მილიონიანი ბიუჯეტით(9). ზემოხსენებული საპრეზიდენტო და მთავრობის ფონდები, შესყიდვების კანონს არ ექვემდებარებიან. შედეგად, მათ მიერ განხორციელებული შესყიდვები ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით ხდება. ამ ფონდების მთავარი მიზანია, დაფარონ გაუთვალისწინებელი ხარჯები, რაც საგანგებო სიტუაციების დროს არის მოსალოდნელი. თუმცა სამოქალაქო სექტორის მხრიდან კონტროლის ნაკლებობის და ანგარიშვალდებულების არარსებობის გამო, რაში იხარჯება სარეზერვო ფონდებში შესული მილიონები უცნობია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის კუთხით. აღნიშნული მონიტორინგი მოიცავს 4,400-ზე მეტი შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშს.

კონკურენციის ხელშემშლელი ფაქტორია ის, რომ არ ხდება ყველა გამოცხადებული ტენდერის მონიტორინგი, იქიდან გამომდინარე რომ არ არის საკმარისი რაოდენობის სამუშაო ძალა და თითოეული ტენდერის მონიტორინგი საჭიროებს მეტ ფინანსურ რესურსს. თითოეული ტენდერის მონიტორინგი უფრო გამჭვირვალესა და კონკურენტუნარიანს გახდის სახელმწიფო შესყიდვების სისტემას.

გამოცხადებულ ტენდერში ზედმეტად სპეციფიკური მოთხოვნები არის კონკურენციის შემზღვეველი და ამასთანავე მიყვავართ მაღალ ფასთან. კორუფციული სქემის შემთხვევაში მარტივად არის შესაძლებელი ტენდერში გამოცხადებული სპეციფიკური მოთხოვნები შეესაბამებოდეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ კომპანიას. ძალიან სპეციფიკური სატენდერო მოთხოვნები წარმოადგენს კორუფციის წყაროს. მეორე მხრივ, შესყიდვების ელექტრონული სისტემა გვაძლევს საშუალებას გასაჩივრებულ იქნეს

ზედმეტად სპეციფიკური სატენდერო მოთხოვნები, თუმცა გასაჩივრების შემდგომ ტენდერი უნდა განიხილოს დავების განხილვის საბჭომ იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნული პროცესები მოითხოვს საკმაოდ დროის რესურსს. მაშინ როდესაც ეფექტიანი იქნება კანონმდებლობა არეგულირებდეს ზედმეტი სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ საკითხს.

შავი სია არის შესანიშნავი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ არაკეთილსინდისიერი მონაწილეები გაძევებულ იქნენ შესყიდვების სისტემიდან. მიუხედავად ამისა, მას გააჩნია თავისი ნაკლოვანებები რაც რეალურად აფერხებს მის დაგეგმილ რეჟიმში ფუნქციონირებას(2). ძალიან მარტივია ახალი კომპანიის დაარსება, შესყიდვების სისტემაში დარეგისტრირება და ტენდერებში მონაწილეობის მიღება, რადგან შავ სიაში შესული კომპანიების შესახებ არსებული ინფორმაცია არაფერს ამბობს მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ; ზოგიერთი კომპანია გამოთქვამს ვარაუდს, რომ შავი სია შესაძლოა მათ წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

გარკვეული ნაკლოვანებები და ხარვეზები, არსებობს საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, ამიტომ ყოველ წლიურად ხდება ახალი რეგულაციების მიღება და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რათა სახელმწიფო შესყიდვების სისტემა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და თანაბარი კონკურენციის შესაძლებლობა გააჩნდეთ კომპანიებს. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა არის ერთ-ერთი სანიმუშო და მისაბამი სისტემა, რომელზე მუშაობაც მისი სრულყოფის მიზნით გრძელდება, მთელი ევროპის მასშტაბით.

